www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 3 აგვისტო, 2013 წელი. | №3337 (144) | ფასი 50 თეთრი

## დიპლომატიური კორპუსი საარჩევნო გარემოთი ინტერესდება

საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრა გაიმართა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა დიპლომატებს ქვეყანაში არსებული წინასაარჩევნო გარემო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სამზადისი გააცნეს. **„მზად ვართ, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებს მუდმივად მივაწოდოთ ინფორმაცია და მათგან მოვისმინოთ კონსულტაციები.**

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## დეჭავიუ ცხრა წლის შემდეგ

### კობა დავითაშვილმა საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა

თიკა ნიკოლაძე

*„ხალხის პარტიის“ ლიდერმა კობა დავითაშვილმა კოალიცია „ქართული ოცნება“ დატოვა. ამ გადაწყვეტილებას დავითაშვილი საპარლამეტო უმრავლესობასთან სისტემატური უთანხმოებით ხსნის.*

*დავითაშვილის ეს ნაბიჯი მოულოდნელი არავისთვის ყოფილა.*

გაგრძელება მე-2 გვერდზე

## შემაჯამებელი შეხვედრა დაგეგმილ საკონსტიტუციო ცვლილებებზე

საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვების კომისიამ, გუშინ, თბილისის იუსტიციის სახლში, შემაჯამებელი სხდომა გამართა. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე ამბობს, რომ სხვადასხვა ქალაქებში გამართული განხილვების შემდეგ შედეგები პარლამენტს წარედგინება.

ხმალაძის ინფორმაციით, ერთი თვის განმავლობაში გამართულ შეხვედრებზე ყველაზე მეტი კამათი ორმაგი მოქალაქეობის საკითხმა გამოიწვია. დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილებით, პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავებას ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი შეძლებს.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ამბობს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები საპრეზიდენტო არჩევნებამდე იქნება მიღებული. **„წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს ამოქმედდება არასწორი ცვლილებები და მერე მოგვიწევს მათი შეცვლა,“** - განმარტა უსუფაშვილმა.

დავით უსუფაშვილი ვარაუდობს, რომ დაგეგმილ რამდენიმე ცვლილებას მხარს დაუჭერს 100-ზე მეტი დეპუტატი. **„ეს არის კონსტიტუციური ცვლილებები, რომლებზეც, მცირე გამონაკლისის გარდა, საწინააღმდეგო აზრი არ არსებობს. მაგალითად, პრეზიდენტს თუ შეეკვეცა არასწორი უფლებამოსილება, რატომ არ უნდა შეეკვეცოს ის პრემიერ-მინისტრს? რა მოტივით არ უნდა აუწიო ხელი ამას? ამიტომ, აქ ყველასთვის მისაღები საკითხებია.**

გაგრძელება მე-2 გვერდზე

## ბერლუსკონის თავისუფლების აღკვეთა რეალურად ემუქრება

ივა შილაკაძე

ხუთშაბათს, გვიან საღამოს, რომის საკასაციო სასამართლომ საქმის სამდღიანი მოსმენის შემდეგ ძალაში დატოვა მედიამაგნატისა და იტალიის ექს-პრემიერის სილვიო ბერლუსკონის მიმართ გამოტანილი განაჩენი, რომელიც მის პატიმრობას გულისხმობს. საქმე ეხება გადასახადების გადახდისგან თავის არიდების საქმეს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

| | |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6566⇓ |
| 1 ევრო | 2.1822⇓ |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.5419⇓ |
| 1 თურქული ლირა | 0.8651⇓ |
| 100 რუსული რუბლი | 5.1271⇓ |

| | |
|---|---|
| თბილისი | 32°C - 19°C |
| ქუთაისი | 28°C - 17°C |
| თელავი | 32°C - 16°C |
| ზუგდიდი | 28°C - 15°C |
| ბათუმი | 26°C - 18°C |

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთობი | 3.19 | +0.00 | +0.16% |
| გაზი | 3.58 | +0.11 | +3.07% |
| ოქრო | 1,743.20 | -9.80 | -0.56% |
| ხორბალი | 868.50 | +12.25 | +1.41% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

## გორში ახალი „დილა“ გათენდა

გიგა გურასაშვილი

*გორის „დილამ“ ევროტურნირებზე ზედიზედ მესამე მატჩი ჩაატარა ისე, რომ საკუთარ კარში გოლი არ მიუღია. ახლაც ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში სპლიტის „ჰაიდუკს“ გასვლაზე 1:0 მოუგო და განმეორებით თბილისურ შეხვედრას უპირატესობით ხვდება. „დილამ“ მოიგო იქ, სადაც „ტორსიდას“ გადამკიდე ბევრ გუნდს უჭირს. ასე რომ, გიორგი დევდარიანის გუნდს კარგი შანსი აქვს იმისა, რომ ფლეიოფში ითამაშოს.*

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## წლის მხსნელი „ელიზიუმი“

### აგვისტოს ფასდაკლება და საოჯახო ფილმები

*„სმურფები“*

## შემაჯამებელი შეხვედრა დაგეგმილ საკონსტიტუციო ცვლილებებზე

პირველი გვერდიდან

**ველით, რომ ცვლილებებს მხარს დაუჭერს 100-ზე მეტი წევრი, იმაზე მეტი, ვიდრე კოალიციაშია და იმაზე მეტი, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობის“ გარეთ არის. ინაუგურაციის დღეს ჩვენ საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეული პრეზიდენტითა და გასწორებული კონსტიტუციით უნდა შევხვდეთ,“** - აღნიშნავს უსუფაშვილი.

კომისიის თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, რომ ცვლილებები პიროვნებებზე არ იქნება მორგებული, ამიტომ მათი მიღება აუცილებელია.

***საკუთარი ინფორმაცია***

## ვანო მერაბიშვილს ციხეში სამედიცინო დახმარება დასჭირდა

ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილს ე.წ. მატროსოვის ციხეში გულის ჩივილების გამო სამედიცინო დახმარება დასჭირდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულების სამინისტროში განუცხადეს, ამჟამად მერაბიშვილის მდგომარეობა სტაბილურია და სამედიცინო ზედამხედველობა არ სჭირდება. სამინისტროს ინფორმაციით, პატიმარ მერაბიშვილს სამედიცინო შემოწმება ე.წ. მატროსოვის ციხეში, მაღალი ტექნოლოგიებით, სამოქალაქო სექტორის ექიმებმა ჩაუტარეს.

„მერაბიშვილს ჩაუტარდა მაღალტექნოლოგიური შემოწმება, იგი ჯანმრთელია. ექიმების მეთვალყურეობას არ საჭიროებს,“ - განაცხადეს სამინისტროში.

## ლევან კორტავას საქმეზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები დააკავეს

გეგუთის კოლონიაში მომხდარი ინციდენტის შედეგად გარდაცვლილი პატიმრის ლევან კორტავას საქმე გახსნილია. პროკურატურის ინფორმაციით, კორტავას განსაკუთრებული სისასტიკით სცემეს და საავადმყოფოში გონებაზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

როგორც საგამოძიებო უწყებაში აცხადებენ, ლევან კორტავას საქმეზე რამდენიმე პირი დააკავეს, მათ შორის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები და პატიმრობიდან ახლად გათავისუფლებული ერთი პირი.

## ანდრეს ჰერკელი - სტალინის ძეგლის აღმართვა საქართველო-ესტონეთის ურთიერთობაზე უარყოფითად აისახება

საქართველოში საბჭოთა დიქტატორის სტალინის ძეგლის აღმართვა უარყოფითად აისახება საქართველო-ესტონეთის ურთიერთობაზე. ამის შესახებ ესტონეთის პარლამენტის წევრმა, ესტონეთი-საქართველოს საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ, ანდრეს ჰერკელმა განაცხადა.

„საქართველოს დასავლელი მოკავშირეები ამას ვერ გაიგებენ და უარყოფითი გავლენა ექნება ესტონეთის საქართველოსთან თანამშრომლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ახალი ლიდერები ირწმუნებიან, რომ ეს თანამშრომლობა აუცილებელია, ეჭვგარეშეა, რომ ასეთი ნაბიჯი, სხვა ნაბიჯებთან ერთად, შამცირებს ესტონეთ-საქართველოს საპარლამენტო ჯგუფის ენთუზიაზმს,“ - განაცხადა ჰერკელმა ესტონურ საინფორმაციო სააგენტო BNS-თან საუბრისას.

ანდრეს ჰერკელი ასევე აცხადებს, რომ მას არ სჯერა საქართველოს კულტურის სამინისტროს განცხადებისა, რომ უწყებას გორში სტალინის ძეგლის აღდგენის შესახებ ბრძანება არ გაუცია. ჰერკელის თქმით, ასეთი დონის გადაწყვეტილებები ცენტრალური მთავრობის დამტკიცების გარეშე არ მიიღება.

„ეს არადამაჯერებელია, რადგან საქართველოში ვერც ერთი თვითმმართველობა ვერ გადადგამს ნაბიჯს ისე, რომ ეს ცენტრალური მთავრობის მიერ არ იქნეს მოწონებული. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მნიშვნელობის საკითხებში,“ - განაცხადა ჰერკელმა.

ესტონელი პარლამენტარის აზრით, ეს ნაბიჯი ასევე აღძრავს ეჭვს მიხეილ სააკაშვილის ოპონენტთა განცხადებებთან დაკავშირებით, რომ ყოფილი პოლიტიკოსებისა და მაღალჩინოსნების დაკავებები პოლიტიკურად მოტივირებული არ არის და რომ მთავრობა მხოლოდ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და კორუფციის წინააღმდეგ იბრძვის.

„ასეთი განცხადებები არადამაჯერებელია, როცა იმავდროულად იმ ადამიანის ძეგლს აღადგენენ, ვინც მე-20 საუკუნეში ძალაუფლებას ყველაზე ბოროტად იყენებდა, დიქტატორის, რომელმაც სხვადასხვა ერებს ტანჯვა მოუტანა და მილიონობით ადამიანი დახოცა,“ - აღნიშნა ჰერკელმა.

# დეჟავიუ ცხრა წლის შემდეგ

პირველი გვერდიდან

ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ის პირველი იყო, ვინც გამარჯვებული პარტია დატოვა. ოპოზიციაში ყოფნა კობა დავითაშვილს ცხრა წელი მოუწია და საბოლოოდ, „ქართული ოცნების“ სიით, კვლავ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გახდა. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებიდან სულ რამდენიმე თვეში დავითაშვილი ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს ღიად დაუპირისპირდა და კორუფციაში დასდო ბრალი, რის გამოც მას პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „საკმაოდ ეჩხუბა“ და ჟურნალისტებთან საუბრისას ისიც თქვა, რომ სერგეენკო გაცილებით მეტ საქმეს აკეთებს, ვიდრე დავითაშვილს ოდესმე გაუკეთებია. პრემიერის ეს სიტყვები დავითაშვილმა შეურაცხყოფად მიიღო და აღნიშნა, რომ მის შესახებ მსგავსი რამ ოპონენტებსაც კი არ უთქვამთ.

მოგვიანებით, ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციაში, დავით სერგეენკო პრემიერთან ერთად შეხვდა კობა დავითაშვილს და მათ შორის გაუგებრობაც, ერთი შეხედვით, ამოიწურა. შეხვედრიდან გამოსულმა დავითაშვილმა განაცხადა, რომ მის კითხვებზე დავით სერგეენკომ დამაკმაყოფილებელი პასუხები გასცა.

ამის მიუხედავად, რამდენიმე თვეში დავითაშვილმა საპარლამენტო უმრავლესობა მაინც დატოვა და ეს გადაწყვეტილება სისტემატური უთანხმოებით ახსნა. თუმცა, დავითაშვილი დეპუტატის მანდატზე უარს არ ამბობს და საპრეზიდენტო არჩევნებშიც აპირებს მონაწილეობას.

**„ახალაიას გამართლება არ არის დემოკრატიის ზეიმი და გამარჯვება. სასამართლო დამოუკიდებელია კანონისგან და თავისუფალია სინდისისგან. სასამართლო არ არის დამოუკიდებელი. მიმაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება დაცინვაა იმ ხალხისა, ვინც დღემდე ელის სამართლიანობის აღდგენას, ეს არის პირდაპირი შედეგი ხელისუფლების უნიათო კურსისა. კოჰაბიტაციაზე დღევანდელ ლოიალურ შეფასებებს ხვალ მოჰყვება მერაბიშვილის გამართლება და სხვა ჯალათების უმანკო კრავებად გამოცხადება. ჩემთვის ასევე ძალიან სამწუხარო და მიუღებელია, რომ ჩვენ ყოველთვის, როცა კი ჩვენი ხალხის, ჩვენი საზოგადოების რიგითი და ყველაზე დაუცველი წარმომადგენლების ინტერესებს დაუპირისპირდა დამსაქმებლების, სასაკლაოების მეპატრონეთა, სადაზღვევო კომპანიების, მევახშეებისა და ბანკების ინტერესები, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ გავაკეთეთ არჩევანი. ვწუხვარ, მაგრამ არ შემიძლია, თავი შევიკავო თქვენი აზრით ზედმეტი და ჩემი აზრით აუცილებელი კომენტარებისგან და შესაბამისი გადაწყვეტილებებისგან. კერძოდ, ვინაიდან ჩვენ შორის ვხედავ სისტემატურ უთანხმოებას ქართული პოლიტიკის ფუნდამენტურ საკითხებზე, მე ვტოვებ საპარლამენტო უმრავლესობას და ამ უთანხმოების გადაწყვეტას ვანდობ ქართველ ხალხს უახლოეს ანუ საპრეზიდენტო არჩევნებზე, სადაც ვგეგმავ თქვენ მიერ გატარებული კურსისგან დიამეტრალურად განსხვავებული პროგრამით გამოსვლას,“** - განაცხადა კობა დავითაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე და ბიძინა ივანიშვილს და მის თანამებრძოლებს მადლობაც გადაუხადა.

**„დიდ მადლობას ვუხდი ბატონ ბიძინას და თითოეულ თქვენგანს იმ ერთობლივი ბრძოლისთვის, რომელიც პირველი ოქტომბრის გამარჯვებით დასრულდა. ვიმედოვნებ, გვეყოფა პოლიტიკური კულტურა, უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ისე ვიკამათოთ, რომ არ დავკარგოთ ერთმანეთის პატივისცემა, რა პატივისცემასაც გულწრფელად განვიცდი თითეული თქვენგანის, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ თანამებრძოლთა მიმართ. ჩემი ამოცანაა არა თქვენი გულისტკენა, არამედ მცდარი კურსის გადასინჯვის აუცილებლობაში თქვენი დარწმუნება. დანარჩენი, დაე, ამომრჩეველმა განსაჯოს,“** - განაცხადა დავითაშვილმა.

„ხალხის პარტიის“ ლიდერი ბრიფინგზე პარლამენტის თავმჯდომარის იმ განცხადებასაც გამოეხმაურა, სადაც უსუფაშვილმა დავითაშვილს ცალკე მოვლენა უწოდა. **„კობა დავითაშვილი ცალკე მოვლენაა. ძალიან ადვილია, პოლიტიკოსმა ასე მოიწყო ცხოვრება. კობა ერთი კაცია - პარტია თვითონ არის, დილით გადაწყვეტილებას იღებს, საღამოს აღასრულებს და მარტივია,“** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ „მეცხრე არხის“ ეთერში.

კობა დავითაშვილის თქმით, მის მიმართ ირონიული დამოკიდებულება პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა და „რესპუბლიკელებმა“ არაერთხელ გამოხატეს.

**„აბუჩად აგდების ყოველგვარი მცდელობა საწყენია, „რესპუბლიკელებისა“ და სხვების მხრიდან „ხალხის პარტიის“ მისამართით ირონიული დამოკიდებულება არაერთხელ მსმენია. მართალი გითხრათ, საკუთარი პარტიის მშენებლობისთვის განსაკუთრებით არასდროს მიზრუნია და ამიტომ „ხალხის პარტია“ ყველაზე ძლიერი ნამდვილად არ არის. ზემოდან ყურება და დაცინვა კარგი ტონი არაა, ცხოვრება წინ მიდის, ზოგჯერ უკანანი წინ მოდიან ხოლმე,“** - განაცხადა დავითაშვილმა და აღნიშნა, რომ მისი მისამართით გაკეთებული განცხადება უსუფაშვილმა ერთხელ უკვე ინანა.

თინა ხიდაშელი „რესპუბლიკური პარტიის“ შესახებ კობა დავითაშვილის განცხადებების კომენტირებას არ აპირებს და დავითაშვილს წარმატებას უსურვებს.

**„რესპუბლიკურ პარტიის“ შესახებ გაკეთებულ კომენტარებზე ზედმეტი კომენტარების გაკეთებას აღარ ვაპირებ. უბრალოდ, ასეთი სტილი დამკვიდრდა საქართველოში, ვისაც არ ეზარება, უნდა თქვას, რომ პრობლემები აქვს „რესპუბლიკურ პარტიასთან“. არა უშავს, უარესებისთვის გაგვიძლია. კობას წარმატებებს ვუსურვებ, თუმცა გამიჭირდება, დავინახო მარტო დარჩენილი დეპუტატის წარმატება, როდესაც ქვეყანაში ფართო ნაბიჯები იდგმება დემოკრატიული პროცესების გასაძლიერებლად და დემოკრატიული ინსტიტუტების გასამყარებლად,“** - განაცხადა ხიდაშელმა.

მისი თქმით, იგი დავითაშვილისგან ამგვარ გადაწყვეტილებას ელოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ დეპუტატი უმრავლესობის დასატოვებლად შესაფერის მომენტს არჩევდა.

**„კობა წასვლის მომენტს დიდი ხნის განმავლობაში ელოდებოდა, იმიტომ რომ ის ასეთია, იმიტომ რომ ყოველთვის ასე იქცევა, ის ძალიან სპეციფიკური ფენომენია და მისგან ეს გადაწყვეტილება არ მიკვირს,“** - აცხადებს თინა ხიდაშელი და აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელმა დეპუტატმა, შესაძლოა, პარლამენტს გარკვეული ხიბლი შესძინოს.

**„კობა დავითაშვილი იყო და რჩება მოხეტიალე ფორვარდად ქართულ პოლიტიკაში და მას ხშირად ლამაზი ფინტები გამოსდის,“** - ასე აფასებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი კობა დავითაშვილის გადაწყვეტილებას „ქართული ოცნების“ დატოვების შესახებ. მისი თქმით, კობა დავითაშვილი უმრავლესობის შიგნით განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდა და მას პრემიერმა სრული თავისუფლებაც მისცა.

**„ახლა მოახლოვდა საპრეზიდენტო არჩევნები და ასეთ დროს ყველა პოლიტიკოსი ფიქრობს, ხომ არ გადადგას რამე ნაბიჯი. კობამაც ახალი ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტა და ვუსურვებ სასარგებლო როლი შეასრულოს ქვეყნის ცხოვრებაში,“** - განაცხადა დავით უსუფაშვილმა და აღნიშნა, რომ, სავარაუდოდ, კობა დავითაშვილი გიორგი მარგველაშვილს განსაკუთრებულ კონკურენციას ვერ გაუწევს.

საპარლამენტო უმრავლესობის დატოვების შესახებ კობა დავითაშვილის გადაწყვეტილება მისმა თანამებრძოლება ელექტრონული ფოსტით შეიტყვეს. პარლამენტის ვიცე-სპიკერ ზურაბ აბაშიძის განცხადებით, დავითაშვილს ეს საკითხი უმრავლესობის სხდომაზე არ დაუყენებია.

**„შეხვედრა არ ყოფილა. კობას ეს საკითხი უმრავლესობის სხდომაზე არ დაუყენებია. მხოლოდ დღეს ელექტრონული ფოსტით მივიღეთ ის განცხადება, რომელიც პრესკონფერენციაზე წაიკითხა,“** - ამბობს აბაშიძე და აქვე აღნიშნავს, რომ მისთვის დავითაშვილის გადაწყვეტილება მიუღებელია.

**„რა თქმა უნდა, არ მომეწონა კობას ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ის არჩევანში თავისუფალია. მიმაჩნია, რომ ახალაიას სასამართლოს საკითხი არ შეიძლებოდა, მისი გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი ყოფილიყო. როგორც ჩანს, ბევრი საკითხი დაუგროვდა. პირდაპირ გეტყვით, ჩემთვის ეს გადაწყვეტილება არ არის მისაღები, რადგან ბრძოლის ველიდან გაქცევა სწორად არ მიმაჩნია,“** - აცხადებს აბაშიძე და დასძენს, რომ მისთვის ასევე მიუღებელია დავითაშვილის გადაწყვეტილება საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.

კობა დავითაშვილის მხრიდან საპარლამენტო უმრავლესობის დატოვებას გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილიც. მისი თქმით, დავითაშვილის მიერ „ქართული ოცნების“ „დატოვების ნიშნები მანამდეც იყო და ეს დასანანია.

**„კობა დავითაშვილის განცხადებას გავეცანი. ინფორმირებული ვარ მისი გადაწყვეტილების შესახებ. ამის ნიშნები მანამდეც იყო. დასანანია,“** - ამბობს მარგველაშვილი.

დავითაშვილის „ქართული ოცნებიდან“ წასვლას, მარგველაშვილთან შედარებით, უფრო ვრცელი კომენტარი მიუძღვნა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ. მისი თქმით, კობა დავითაშვილმა პირადი პოპულიზმი გუნდის საერთო მიზნებზე მაღლა დააყენა.

**„პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებობს ორი პრინციპი - გუნდური ბრძოლა საერთო მიზნებისთვის და პირადი პოლიტიკური პოპულიზმი. „ქართული ოცნება“ ის გუნდია, რომელიც მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ყოველთვის აღწევს კონსენსუსს და მიზანს. ეს რთული ბრძოლაა, მით უფრო - კოჰაბიტაციის პირობებში, და ასეთ ბრძოლას ბევრი ვერ უძლებს. კობამ ჩათვალა, რომ მისი პირადი პოპულისტური განწყობა უფრო მაღლა დგას, ვიდრე გუნდის საერთო მიზნები,“** - განაცხადა საგანელიძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ვახტანგ ხმალაძის თქმით, კოალიციის წევრებისთვის დავითაშვილის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან კობა დავითაშვილი გუნდური მოთამაშე არ არის.

**„კობას წასვლის გადაწყვეტილება კოალიციისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რადგანაც მას დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა კოალიციის შიგნით. მიუხედავად ამისა, მისდამი ცუდი განწყობა არ ყოფილა. პოლიტიკაში არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, მას დაუტოვებია გუნდური პოლიტიკა, ამიტომ გამორიცხული არ არის, მან მომავალშიც გააგრძელოს ეს დამოკიდებულება, რადგანაც, როგორც ჩანს, დავითაშვილი გუნდური მოთამაშე არ არის,“** - განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

„ხალხის პარტიის“ ლიდერის მიერ საპარლამენტო უმრავლესობის დატოვებას არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრებიც ეხმაურებიან.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის და პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი თარგამაძის აზრით, უმრავლესობიდან კობა დავითაშვილის წასვლა შიდა პოლიტიკური კრიზისის ნიშანია.

როგორც თარგამაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, ქართულ პოლიტიკაში ნლების განმავლობაში რამდენიმე ტრადიცია ჩამოყალიბდა, მათ შორის ის, რომ კობა დავითაშვილი ყოველთვის პირველი იუწყება სამთავრობო რევოლუციური კოალიციების დაშლას.

**„ფაქტობრივად, მის ყველა არგუმენტს, პროკურატურისა და სასამართლოს მოქმედებით დაწყებული და სოციალური პოლიტიკის უგულებელყოფით დამთავრებული, მე პირადად ვეთანხმები და არა მხოლოდ ვეთანხმები, არამედ ეს არის ჯერ კიდევ მეოცნებე კოალიციისადმი დღეს ჩვენი კრიტიკის ძირითადი საფუძველი. თუმცა, ჩვენთვის ამ შემთხვევაში არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა რამ. ეს არის გარკვეული ნიშანი იმ შიდა პოლიტიკური კრიზისისა და შიდა რყევებისა, რაც მმართველ კოალიციაში დღეს აშკარად შეინიშნება,“** - განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

„სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ბათიაშვილის აზრით, კობა დავითაშვილი კოალიციიდან ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმების გარეშე ვერ წავიდოდა. ბათიაშვილის თქმით, კობა დავითაშვილის განცხადება კოალიციიდან წასვლის შესახებ „ქართული ოცნების“ სპეცოპერაციის ნაწილია, რომელიც ნინო ბურჯანაძისათვის ხმების გაყოფას ისახავს მიზნად.

**„კობა დავითაშვილი კოალიციიდან ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმების გარეშე ვერ წავიდოდა. ამიტომაც მეეჭვება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის გადაწყვეტილება მან დამოუკიდებლად მიიღო,“** - აცხადებს ირაკლი ბათიაშვილი

კობა დავითაშვილს „პირველ მერცხლად“ მიიჩნევენ საპარლამენტო უმცირესობის წევრები. „ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ ძალიან ეკლექტიკური გაერთიანებაა.

**„კოალიციის რღვევა გარდაუვალია, მით უფრო მაშინ, როდესაც ქვეყანაში კრიზისი მატულობს და ხელისუფლება ვერანაირ წინა საარჩევნო დაპირებას ვერ ასრულებს. მერწმუნეთ, კობა დავითაშვილი პირველი მერცხალია,“** - ამბობს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი ზურაბ ჯაფარიძე კი ყურადღებას კობა დავითაშვილის პოლიტიკურ ტაქტიკაზე ამახვილებს და აცხადებს, რომ მას სჩვევია ოპოზიციაში გადასვლა, რათა შემდგომ ხელისუფლებაში ახალი ოპოზიციური ძალით დაბრუნდეს.

**„დავითაშვილი თვეების განმავლობაში კარგად აცნობიერებს, რომ „ქართული ოცნების“ მიერ წინასაარჩევნოდ მიცემული დაპირებების შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს უფრო ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც ეკონომიკა რეცესიის მდგომარეობაში აღმოჩნდა. შესაბამისად, დავითაშვილი დიდი ხანია, ეძებს მიზეზს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის რიგები დატოვოს. მას ერთხელ ამის მცდელობა ჰქონდა, როცა ჯანდაცვის მინისტრს სრულიად განწირული ჯანდაცვის პროგრამის გამო დაუპირისპირდა. ახლა, როგორც ჩანს, მან უფრო წონიანი საბაბი მოძებნა უმრავლესობიდან წასასვლელად. ამასთან, ზუსტად ამ ადამიანს ახასიათებს ხელისუფლებაში კოალიციით მოსვლა და შემდეგ კოალიციის დატოვება, ვიდრე ის რეიტინგს დაკარგავს,“** - განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ზურაბ ჯაფარიძემ.

გივი თარგამაძის თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ კობა დავითაშვილის განცხადებას არც სასარგებლოდ აფასებს და არც უსარგებლოდ.

**„ვფიქრობ, კობა დავითაშვილმა ეს სიტუაცია მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის გამოიყენა, რომ გარიდებოდა პასუხისმგებლობას, რომელიც კოალიციას ელის. ჩვენ გვაქვს კარგად გამოხატული ჩვენი კამპანია, ჩვენი ხაზი და ის არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ პარტიის წევრების გადაწყვეტილებებზე. ასე რომ, ჩვენ არ ვაფასებთ კობა დავითაშვილის გადაწყვეტილებას, როგორც სასარგებლოს ან უსარგებლოს ჩვენი პარტიისთვის,“** - ამბობს გივი თარგამაძე.

საპარლამენტო უმცირესობის წევრები მიიჩნევენ, რომ კობა დავითაშვილის შანსები, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატისა, ძალიან დაბალია.

კობა დავითაშვილის მხრიდან მმართველი კოალიციის დატოვებას თბილისის მერიც ეხმაურება. გიგი უგულავა აღნიშნავს, რომ დავითაშვილი პირველი მერცხალი იყო, რომელმაც ის გამარჯვებული პარტია დატოვა, რომელიც ცხრა წელი მართავდა ქვეყანას, თუმცა ეჭვობს, რომ ახალმა მთავრობამ ხელისუფლებაში ამდენი ხანი გაძლოს.

უგულავას თქმით, არაფერია გასაკვირი დავითაშვილის უმრავლესობიდან წასვლაში, რადგან არჩევნების შემდეგ ქვეყანაში კიდევ ბევრი რამ შეიცვლება და საეჭვოა, დღევანდელი მაღალჩინოსნების ნაწილი ხელისუფლებაში დარჩეს.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:**
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# დიპლომატიური კორპუსი საარჩევნო გარემოთი ინტერესდება

პირველი გვერდიდან

**საუბარი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებებზე წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე საგარეო უწყებამ მათ მიაწოდა ინფორმაცია უცხოეთში მყოფი ქართველი ამომრჩევლების რეგისტრირების გამარტივებაზე,"** - თქვა ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების" წევრმა თინა ხიდაშელმა შეხვედრის შემდეგ. შეხვედრაზე ხიდაშელმა გასულ კვირას საარჩევნო კანონმდებობაში შეტანილი ცვლილებების შესახებ ისაუბრა. **„ვიმედოვნებ, სააკაშვილი ვეტოს უფლებას ამჯერად მაინც არ გამოიყენებს და პროცესს კიდევ უფრო არ გაწელავს. დიპლომატებს ასევე ვესაუბრეთ პარტიების დაფინანსების შესახებ კანონპროექტზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო მომავალ კვირას განიხილავს,"** - აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა დიპლომატებს უწყებათაშორისი კომისიის უშიშროების საბჭოდან იუსტიციის სამინისტროში გადასვლის შესახებ ესაუბრა.

შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა აღნიშნა, რომ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს შანსია, მსოფლიოს აჩვენოს სტაბილური, პოლიტიკური და წარმატებული საინვესტიციო კლიმატი. ნორლანდი ამბობს, რომ საქართველოს მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებით მთელი მსოფლიოა დაინტერესებული.

ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრა კი, ელჩის შეფასებით, დიპლომატიური კორპუსისთვის კარგი შესაძლებობა იყო ინფორმაციის მისაღებად მთავრობის ნაბიჯების შესახებ, რომლებიც თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად არის მიმართული. **„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში არ იყოს ძალადობა. ისეთი ინციდენტები, როგორიც ვნახეთ, მაგალითად, ზუგდიდში, როდესაც ადამიანები ქვებსა და ბოთლებს ისროდნენ, აღარ უნდა განმეორდეს. დღეს მთავრობისგან მოვისმინეთ, რომ დაუყოვნებლივ დაისჯებიან ის ადამიანები, ვინც ასე იქცევა და უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხოების ზომები, რათა კანდიდატებმა უსაფრთხო კამპანიის წარმოება შეძლონ,"** - აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

ამერიკის ელჩის ინფორმაციით, გუშინდელ შეხვედრაზე საუბარი მცირერიცხოვანი პარტიების როლსაც შეეხო. **„მნიშვნელოვანია მათაც ჰქონდეთ თანაბარი ხელმისაწვდომობა დაფინანსებაზე, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლობასა და მედიაზე. ვფიქრობ, მთავრობამ ამ საკითხზე უნდა იმუშაოს. მომავალი არჩევნები საქართველოს შანსია, ახალი ფურცელი გადაშალოს, მომავლისკენ იყუროს და მსოფლიოს აჩვენოს, რომ სტაბილური, პოლიტიკური და წარმატებული საინვესტიციო კლიმატი არსებობს. ვფიქრობ, ეს არჩევნები ამის მტკიცებულება იქნება,"** - ამბობს რიჩარდ ნორლანდი.

*საკუთარი ინფორმაცია*

# „ნაციონალური მოძრაობის" რებრენდინგი

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც ამავე დროს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარეა, თანაგუნდელებს სექტემბერში ყრილობის ჩატარება და პარტიაში ცვლილებების გატარება შესთავაზა. მიხეილ სააკაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის" წევრებს, აქტივისტებს, მხარდამჭერებსა და თანამოქალაქეებს განცხადებით მიმართა. მისი თქმით, ის პრინციპული ცვლილება, რომელიც განცხადებაშია აღნიშნული, პარტიის ახალ წესდებასა და სტრუქტურაზე უნდა აისახოს.

პრეზიდენტი თავდაპირველად საპარლამენტო უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძეს „ნაციონალური მოძრაობის" პრაიმერიზში გამარჯვებას ულოცავს. სააკაშვილის თქმით, დავით ბაქრაძე გუნდის წევრი და დიდი ხნის თანამებრძოლია. სააკაშვილი ბაქრაძეს სრულ მხარდაჭერას უცხადებს და მიიჩნევს, რომ ის ნამდვილად ღირსეული კანდიდატია.

სააკაშვილი ამავე დროს აღნიშნავს, რომ „ნაციონალური მოძრაობა" პირველი პოლიტიკური ძალაა, რომელიც არა ცალკეულ ლიდერს ან ლიდერებს, არამედ უფრო მეტად თითოეულ წევრს, საზოგადოებაში თითოეულ მხარდამჭერს ეყრდნობა. მისი თქმით, პარტიის დიდ მიზანს წარმოადგენს, შექმნას ახალი, ძლიერ წარმატებული სახელმწიფო, რომლის მთავარი იდეაა თავისუფლება, დემოკრატია, არაკორუმპირებულობა და განვითარება, რომელიც ეფუძნება არა ნეპოტიზმს, კლანურ ან ვიწროპარტიულ ინტერესებს, არამედ მერიტოკრატიას, ე.ი. ადამიანების წარმატებულობასა და წინსვლას მათი შრომისმოყვარეობისა და ნიჭის ნიშნით. **„სწორედ ამიტომ, ჩვენ შევძელით და იმ პირობებში, როცა პარტიის გენერალური მდივანი უსამართლოდაა დაპატიმრებული, როცა ათასობით აქტივისტი სამართლებრივი დევნისა და შევიწროების პირობებში იმყოფება, როცა ჩვენ ყოველ წუთს დაუმსახურებლად გვესვრიან ტალახს პრესით და ტელევიზიით, მაინც შევინარჩუნეთ ერთობა და არ ვუღალატეთ ჩვენს იდეებს,"** - ამბობს სააკაშვილი. მისი თქმით, „ვარდების რევოლუციის" შემდგომ „ნაციონალურ მოძრაობას" ბევრი ჩვეულებრივი კარიერისტიც მიეტმასნა, რომელთა ჩამოშორება მხოლოდ დადებითი პროცესია.

სააკაშვილი თავისი პარტიის სხვა პრობლემებზეც ამახვილებს ყურადღებას. როგორც მან აღნიშნა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, პარტიას ბიუროკრატიული დახავსების ნიშნები დაეტყო, ჯანსაღი დებატები სათანადოდ არ წარმოებდა, რამაც საბოლოო ჯამში, სააკაშვილის აზრით, გარე მტრისა და შიდა მოწინააღმდეგეთა უპრეცედენტო, ზოგ შემთხვევაში კი ერთმანეთთან კოორდინირებული გააფთრებული შემოტევების მიმართ „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური იმუნიტეტი შეასუსტა.

სააკაშვილი მიიჩნევს, რომ პარტია ახლა კრიტიკული ანალიზისა და გაჯანსაღების აუცილებელ ეტაპს გადის. **„ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენც უნდა შევიცვალოთ, უკეთესები უნდა გავხდეთ, არ დავივიწყოთ მთავარი პრინციპები და, ამავდროულად, ბევრად უფრო საღი, დემოკრატიული, გახსნილი ორგანიზაცია შევქმნათ. პრაიმერების მიმდინარეობამ, მათში პარტიის წევრების დიდმა აქტიურობამ კარგად დაგვანახა სწორი გზა. საჭიროა კიდევ უფრო მეტი გახსნილობა, მეტი დებატები, მეტი განათლებული, პატრიოტი, აქტიური და გონიერი ადამიანის შემოკრება და ენერგიული სვლა საერთო ნაციონალური კონსენსუსისა და შეუქცევადი განვითარებისკენ, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ძლიერებისკენ,"** - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

როგორც სააკაშვილი ამბობს, იგი „ნაციონალურ მოძრაობას" საქართველოს ისტორიაში კიდევ ერთი უპრეცედენტო ნაბიჯის გადადგმას სთავაზობს. **„ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი პარტია, რომელიც, ერთი მხრივ, იდეების გენერატორი იქნება, მეორე მხრივ კი, ამ იდეებს ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის საგნად აქცევს. ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი მიზანი, რომელიც ჩვენი ხალხის შეგნებული თანადგომის გარეშე მიუღწეველია. ჩვენ უნდა დავეყრდნოთ ჩვენი თანამოქალაქეების ნიჭიერებას, პატრიოტიზმს, ინოვაციის უნარსა და ენთუზიაზმს. „ნაციონალური მოძრაობა" უნდა გახდეს კიდევ უფრო გახსნილი და დემოკრატიული პარტია, ვიდრე ეს ოდესმე გვინახავს, ის არაპარტიული გაგებითაც ნამდვილ ნაციონალურ მოძრაობად უნდა გადაიქცეს!"** - მიმართავს თანაპარტიელებს პრეზიდენტი.

სააკაშვილის თქმით, პრაიმერიზის დროს მიღებული გამოცდილებით, პარტიული სტრუქტურის ყველა დონეზე საჭიროა შეჯიბრებითობა და არჩევნები სტანდარტულ და საყოველთაო პრინციპად უნდა იქცეს. ამასთან, პრეზიდენტი თანაგუნდელებს ყველა მიმართულებით იერარქიულობაზე უარის თქმას სთავაზობს, ეს ეხება ადგილობრივ პარტიულ სტრუქტურებსა და მთლიანად პარტიის მმართველ რგოლს. სააკაშვილის თქმით, პარტიის რეგისტრირებულ წევრთა, მინიმუმ, 10 პროცენტს უნდა ჰქონდეს უფლება, ნებისმიერ დროს მოიწვიოს პარტიის ყრილობა. ხოლო, პარტიის თავმჯდომარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ფუნქციის მიუხედავად, ყველა ძირითადი მიმდინარე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პარტიის მუდმივმოქმედმა პოლიტიკურმა საბჭომ, რომლის ყოველდღიურ მუშაობას საბჭოს თავმჯდომარე წარუძღვება. პრეზიდენტის წინადადებით, საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი ახალი, ახალი ენერგიით აღსავსე ლიდერებით უნდა დაკომპლექტდეს.

სააკაშვილი პარტიაში აღმასრულებელი მდივნის თანამდებობის შემოღებას გეგმავს, რათა პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებები სათანადოდ განხორციელდეს.

პარტიის წესდებაში დაგეგმილი ცვლილებით კი, პრეზიდენტის, მერის, დეპუტატებისა და პრემიერ-მინისტრის კანდიდატურები პარტიამ პრაიმერიზით უნდა გამოავლინოს. **„პარტიის სტრუქტურის ჰორიზონტალური ხასიათი არა მარტო ახალი წევრებით გაამდიდრებს ჩვენს პარტიას, არამედ, ფაქტობრივად, აზრს დაუკარგავს ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლას. მაგალითად, თუ დღეს საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელს იმედი აქვს, რომ ცალკეული ლიდერების განეიტრალებით მოგვსპობს, ხვალ ისიც და ბევრი სხვაც მიხვდება, რომ ამ ბრძოლას საბოლოოდ ეკარგება აზრი; თუ რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებას, თავისივე მრავალგზის საჯაროდ გაცხადებული პოზიციით, ჩემი, როგორც მინიმუმ, სამართლებრივი, პოლიტიკური და მორალური განადგურება საკუთარი პრობლემების გადაჭრის გზად მიაჩნია, ხვალ ისინიც მიხვდებიან, რომ სინამდვილეში, საქმე აქვთ არა მხოლოდ ჩემთან, არამედ ჩემს თანამოაზრეებთან, ჩვენს თანამოაზრეებთან, მთელ პარტიასთან და მთელ ერთან. მიხვდებიან, რომ დიდ ცეცხლს ეთამაშებიან და უკან უნდა დაიხიონ, ამ ცეცხლს ქმნადობის ენერგიად გადაქცევაში ხელი არ შეუშალონ, დამორჩილდნენ იმ აზრს და იმ რეალობას, რომ საქართველო არის, იყო და იქნება თავისუფალი ხალხის თავისუფალი სახელმწიფო, მშვიდობის, აღმშენებლობის, პროგრესის, შემწყნარებლობისა და სიკეთის გზაზე მდგარი საზოგადოების ციხე-სიმაგრე, რომელსაც ამიერიდან ვეღარც შიდა და ვეღარც გარე მტერი დაანგრევს!** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, - **ჩვენი მოძრაობა ფენიქსივით აღდგენის პროცესშია. ბოლომდე უნდა მივიყვანოთ საქმე, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა, მთლიანობა და ჩვენი ხალხის თავისუფლება ჰქვია!"**

## გამოხმაურება სააკაშვილის განცხადებაზე

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ გოკა გაბაშვილმა პარტიის სტრუქტურის შესახებ პრეზიდენტის განცხადებაში მოტანილი ინიციატივები დააზუსტა. როგორც გაბაშვილი ამბობს, იმისთვის, რომ აღმასრულებელი ფუნქციები არ შეფერხდეს და პარტიამ იმუშაოს, როგორც გამართულმა პოლიტიკურმა მანქანამ, პრეზიდენტი გამოვიდა აღმასრულებელი მდივნის პოსტის შემოღების ინიციატივით, რომელიც, ფაქტობრივად, პარტიის მენეჯერი იქნება.

გაბაშვილი ამავე დროს მიიჩნევს, რომ „ნაციონალური მოძრაობის" გენერალურ მდივნად ვანო მერაბიშვილი უნდა დარჩეს. **„ის საპატიმროშია და ჩვენ, რა თქმა უნდა, მის მიმართ სოლიდარულნი ვართ,"** - აღნიშნა გაბაშვილმა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი ბარამიძე ამბობს, რომ დახურულმა სისტემამ „ნაციონალური მოძრაობა" ბევრი პრობლემის წინაშე დააყენა. მისივე თქმით, ამ ხნის განმავლობაში დაშვებული შეცდომებიდან გამოტანილი დასკვნით, საჭიროა ღია და გახსნილი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც შეცდომაზე რეაგირებას თავად მოახდენს.

„ნაციონალურ მოძრაობაში" დაგეგმილი ცვლილებების შედეგების არ სჯერა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს. მისი აზრით, „ნაციონალური მოძრაობა" დაგეგმილი რებრედინგით იმავეს მიიღებს. **„თუ ვინმეს აქვს მცდელობა, რომ საქართველოში „მოქალაქეთა კავშირი - 2" განმეორდება, მინდა, იმედები გავუცრუო - ეს არ გამოვა და ვერ გამოვა. ქართველმა ხალხმა ერთხელ უკვე ნახა ამ რებრედინგის სიკეთეები, როცა იგივე ძალები, იმავე ღირებულებით, იმავე პრობლემებით, უბრალოდ, სხვა სახელით ქვეყანას მოევლინენ ახალი ხელისუფლების სახით და პრაქტიკულად ძალიან ბევრ ნაწილში იგივე გააგრძელეს. ამიტომ, ეს მცდელობები უშედეგოა და განწირულია მარცხისთვის, რადგან საკმარისზე მეტი გაკვეთილები მივიღეთ ამ ვითომდა რებრედინგებით და ვითომდა სახელების ცვლილებით,"** - აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

*საკუთარი ინფორმაცია*

## დავით უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე ხელისუფლებას „ცოტა დრო დარჩა"

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის აზრით, ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საკითხს რაც შეიძლება მალე უნდა დაესვას წერტილი.

როგორც უსუფაშვილმა აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ქვეყნისთვის უკიდურესად დამაზარალებელია.

„ზოგადად, სახელმწიფოს პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები ის პირები არიან, რომელთა მიმართაც დამოკიდებულება - გადაყენება, პასუხიმგებლობაში მიცემა და, მით უმეტეს, მკვლელობა, თუ ამასთან გვაქვს საქმე, ქვეყნისთვის უკიდურესად დამაზარალებელია. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ სიმართლე არ გაირკვა, ეს კიდევ უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში დამაზარალებელი იქნება ყველასთვის და ყველაფრისთვის. ამიტომ, ამ საკითხს რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაესვას წერტილი," - განაცხადა უსუფაშვილმა.

მისივე განმარტებით, ამ თვალსაზრისით ახალ ხელისუფლებას „ცოტა დროღა დარჩა".

„თუ 4 წელი გამოძიებას მოვანდომეთ, ე.ი ჩვენშიც არის პრობლემა, კვალიფიკაციის ან სხვა რამის. ამიტომ, ასეთი ტიპის საკითხებზე სიცხადის შესატანად ცოტა დრო დაგვრჩა. ცოტაში მე არ ვგულისხმობ 2 და 3 დღეს, მაგრამ არც 2 და 3 წელს," - განმარტა პარლამენტის თავმჯდომარემ.

## პროკურატურა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნების გირაოთი გათავისუფლებას ითხოვს

პროკურატურა სოფლის მეურნეობის სამინისტროს პატიმრობაში მყოფი მაღალჩინოსნების გირაოთი გათავისუფლებას ითხოვს. პროკურატურის ცნობით, აღნიშნული შუამდგომლობით საგამოძიებო ორგანო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართავს.

„სისხლის სამართლის საქმე - სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს «მექანიზატორის" რიგი თანამდებობის პირების მიერ დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი თანხების გაფლანგვისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე - 2013 წლის 31 ივლისს განსახილველად წარიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე გამოძიება დასრულდა, აღარ არსებობს ბრალდებულთა მხრიდან მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელშეშლის საფრთხე. შესაბამისად, ამოწურულია ბრალდებულთა პატიმრობაში ყოფნის აუცილებლობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავარი პროკურატურა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით ბრალდებულების მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის, გირაოთი შეცვლის შესახებ," - აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

## ირაკლი ალასანია - დროა, აზერბაიჯანთან და თურქეთთან, სამხედრო ინდუსტრიის კუთხით, სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატი შეიქმნას

დროა, აზერბაიჯანთან და თურქეთთან, სამხედრო ინდუსტრიის კუთხით, სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატი შეიქმნას, - ამის შესახებ

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გამოცემა Eurasianet-ის ჟურნალისტ ჯოშუა კუცერასთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

ირაკლი ალასანიას განცხადებით, საქართველო სამხედრო მრეწველობის სფეროში აზერბაიჯანის გამოცდილების გაზიარებასაც გეგმავს.

„ეს ჩვენთვის ძალიან საინტერესოა... ამ ეტაპზე თანამშრომლობა მხოლოდ ინფორმაციის გაცვლით შემოიფარგლება. თუმცა, ვფიქრობ, დროთა განმავლობაში ერთად საინტერესო საკითხებზე მოგვიწევს მუშაობა. საქართველო და აზერბაიჯანი მსგავსი სახის საფრთხეების წინაშე დგანან. პრიორიტეტებიც ერთნაირია - ჩვენი უნდა დავიცვათ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოება, ჩვენ უნდა დავიცვათ მიმდინარე სტრატეგიული პროექტების უსაფრთხოება. სწორედ ამიტომ, მიმაჩნია, რომ თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა ერთობლივი რეგიონალური პროექტების უსაფრთხოებას დადებით შედეგს მოუტანს," - განაცხადა მინისტრმა.

ირაკლი ალასანიას თქმით, ესტონეთისა და თურქეთის სამხედრო საწარმოებთან „დელტა" ერთობლივი პროექტების განხორციელების შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებს.

„მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს ესტონელ პარტნიორებთან. ვაპირებთ თანამშრომლობის გაღრმავებას ისრაელთანაც". კითხვაზე: თუ რატომ არ ბლოკავს რუსეთი ისრაელთან მჭიდრო კავშირებს, მინისტრმა განაცხადა, რომ მათი კომუნიკაციის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

## ამერიკა რამდენიმე ქვეყანაში საელჩოებს ერთი დღით ხურავს

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, ამ კვირა დღეს, რამდენიმე ქვეყანაში, უმთავრესად ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებში, ამერიკა საელჩოებსა და საკონსულოებს, უსაფრთხოების მიზნიდან გამომდინარე, დახურავს. სახელმწიფო დეპარტმენტის წარმომადგენლის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება იმ დიპლომატიურ წარმომადგენლობების ეხება, რომლებიც კვირას მუშაობენ. გასული წლის 11 სექტემბერს ლიბიის ქალაქ ბენღაზიში ამერიკის საკონსულოზე თავდასხმას ამერიკის ელჩი კრისტოფერ სტივენსი და საელჩოს კიდევ სამი თანამშრომელი ემსხვერპლნენ. ამერიკის საელჩოები სხვადასხვა ქვეყნებში ხშირად ხდებიან თავდასხმების სამიზნეები. „ჩვენ 4 აგვისტოს იმ ქვეყნებში, სადაც კვირა დღე ჩვეულებრივი სამუშაო დღეა, ამერიკის საელჩოებისა და საკონსულოების მუშაობას ვაჩერებთ. გამორიცხული არ არის, რომ წარმომადგენლობები სხვა დღესაც დაიხუროს," - საუბარია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

## ჰომსთან მეამბოხეებმა იარაღის საწყობი ააფეთქეს

სირიის ოპოზიციური ჯგუფების ინფორმაციით, სირიის ქალაქ ჰომსში იარაღის საწყობის აფეთქებას, სულ მცირე, 40 ადამიანი ემსხვერპლა. როგორც აღნიშნავენ, დაღუპულთა რიცხვი შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს, ვინაიდან დაჭრილია, დაახლოებით, 120 კაცი და აქედან ბევრის მდგომარეობა მძიმეა. „სი-ენ-ენ"-ის ინფორმაციით, აფეთქება მას შემდეგ მოხდა, რაც მმართველი რეჟიმის მიერ კონტროლირებადი რაიონისკენ ამბოხებულებმა რაკეტების მთელი წყება გაუშვეს. აფეთქების ძალა რამდენიმე რაიონში იგრძნობოდა. რამდენიმე შენობა დაინგრა, მთელ უბანში ხანძარი გაჩნდა. ქვეყანაში კონფლიქტი 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც, მხოლოდ მეტ-ნაკლებად დადასტურებული ცნობებით, 100 000 ადამიანზე მეტი შეეწირა.

## შიმონ პერესი: ისრაელსა და პალესტინას შორის მოლაპარაკების შანსები გაიზარდა

„ბი-ბი-სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა განაცხადა, რომ ისრაელსა და პალესტინას შორის სამშვიდობო შეთანხმების დადების შანსი გაიზარდა, ვინაიდან ორივე მხარე აცნობიერებს, რომ ამას ალტერნატივა არ გააჩნია. 2 აგვისტოს პერესს 90 წელი შეუსრულდა. პერესის თქმით, იგი ბოლომდე დარწმუნებულია, რომ პალესტინის ლიდერი მაჰმუდ აბასი რეალურად არის დაინტერესებული სამშვიდობო შეთანხმების დადებით. სამი წლის განმავლობაში პირველად პალესტინისა და ისრაელის დელეგაციები ცოტა ხნის წინ ვაშინგტონში შეხვდნენ ერთმანეთს.

## მურსის მხარდამჭერები მილიონიან მსვლელობას გეგმავენ

პარასკევს, საღამოსთვის, ეგვიპტის პრეზიდენტ მოჰამედ მურსის მხარდამჭერები 33 სხვადასხვა მეჩეთიდან მილიონიანი მსვლელობის მოწყობას გეგმავდნენ. „გადატრიალების წინააღმდეგ დემოკრატიული ალიანსის" განცხადებაში მოწოდებაა, რომ „ქვეყნის ყველა თავისუფალმა ადამიანმა მხარი დაუჭიროს მათ მსვლელობას." ხუთშაბათს ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა მურსის მხარდამჭერებს კაიროს ორი უმსხვილესი მოედნის დატოვებისკენ მოუწოდა. პრეზიდენტი მოჰამედ მურსი არმიამ 3 ივლისს გადაყენა, რის შემდეგაც ქვეყანაში მურსის მხარდამჭერების გამოსლები არ ცხრება. რამდენიმე დღის წინ უსაფრთხოების ძალებმა მურსის 70 მხარდამჭერი მოკლეს. გუშინდელი მსვლელობა გვიან დამთავრდა და გაზეთის გამოსვლის მომენტისთვის ცნობილი არ იყო, მოახერხეს თუ არა „მუსლიმანმა ძმებმა" ამ რაოდენობის ხალხის შეკრება.

## ჯონ კერი: უპილოტოებიდან დარტყმებს მალე დავასრულებთ

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ, რომელმაც პაკისტანში ვიზიტი გუშინ დაასრულა, განაცხადა, რომ ამერიკა ამ ქვეყანაში უპილოტო საფრენი აპარატებიდან განხორციელებული იერიშების დასრულებას ცდილობს. პაკისტანის ერთ-ერთი ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში კერიმ აღნიშნა, რომ პრეზიდენტი ბარაკ ობამა იერიშების დასრულების „რეალურ ვადას" განიხილავს. „იმედი გვაქვს, ეს ძალიან მალე მოხდება," - აღნიშნა სახელმწიფო მდივანმა. მისი თქმით, ეს რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული და ვაშინგტონი ამაზე პაკისტანის მთავრობასთან ერთად მუშაობს.

უპილოტო საფრენ აპარატებს ამერიკა პაკისტანის ჩრდილო-აღმოსავლეთის მთიან რეგიონებში შეიარაღებული მებრძოლების წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებს. აღნიშნული პაკისტანის გაღიზიანებას იწვევს, რასაც ქვეყნის სუვერენიტეტში ჩარევად მიიჩნევენ. ამერიკა ბოლო პერიოდში პაკისტანში გაცილებით ნაკლებ საჰაერო იერიშს ახორციელებს, რაც ნაწილობრივ ამ ქვეყანაში „ალ ქაიდას" მნიშვნელოვნად შესუსტებას უკავშირდება.

## აზერბაიჯანელები პრეზიდენტად ილჰამ ალიევს უჭერენ მხარს

მონიტორინგის აზერბაიჯანულმა ცენტრმა „რიაიმ" მოახლებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ 2013 წლის 22-28 ივლისს გამოკითხვა ჩაატარა, რომელშიც 1500 ადამიანი მონაწილეობდა. გამოკითხვის შედეგების თანახმად, ამ დროისთვის გამოკითხულთა 81,2 პროცენტი მოქმედ პრეზიდენტ ილჰამ ალიევს უჭერს მხარს. 2 პროცენტზე ნაკლები - პარტია „მუსავატის" წარმომადგენელ ისა გამბარს, 1 პროცენტი კი - დრამატურგ რუსტამ იბრაჰიმბეკოვს. იბრაჰიმბეკოვის ოპოზიციის ერთიან კანდიდატად წარდგენის შესახებ გამოკითხულთა 86 პროცენტმა არაფერი იცოდა.

*მოამზადა თამთა კახაძემ*

# ობამამ შეიძლება პუტინთან შეხვედრა გააუქმოს

ივა შილაკაძე

თეთრმა სახლმა არ დამალა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთის მიერ სნოუდენისთვის თავშესაფრის მიცემის მიმართ და ღიად მიანიშნა ობამასა და პუტინის შეხვედრის შესაძლო გაუქმებაზე, რომელიც სექტემბერში მოსკოვში უნდა გაიმართოს. ბევრად უფრო რადიკალურები არიან სენატორები, რომლებიც საერთოდ პუტინის რუსეთის მიმართ მიდგომის შეცვლას მოითხოვენ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური წარმომადგენლის ჯეი კარნის სიტყვებით, აშშ „უკიდურესად იმედგაცრუებულია" რუსეთის მიერ ედუარდ სნოუდენის შეფარების გამო. კარნიმ თქვა, რომ ამერიკის ხელისუფალნი რუს კოლეგებს ნათლად უხსნიდნენ გაქცეული აგენტის გადაცემის მიზანშეწონილობას, თუმცა ამან შედეგი არ გამოიღო. კრემლის ეს ნაბიჯი, აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის აზრით, ხელს არ შეუწყობს ორმხრივი ურთიერთოების პოზიტიურ ჩარჩოებში განვითარებას, თუმცა ორი სახელმწიფოს ურთიერთობა საკმაოდ მრავალმხრივია, ის ბევრ ასპექტს მოიცავს და, ცხადია, სნოუდენის გამო მთლიანად არ შეწყდება.

ჯერჯერობით კი ალბათ მოსკოვში აშშ-რუსთის სამიტი გაუქმდება. სექტემბერში სანკტ-პეტერბურგში დიდი ოცეულის სამიტი ტარდება. წინა დღეებში მოსკოვში რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების ორმხრივი შეხვედრა იგეგმებოდა. სწორედ ამ შეხვედრის შესაძლო გაუქმებაზე გააკეთა არაორაზროვანი მინიშნება თეთრმა სახლმა, თუმცა ეს გადაწყვეტილება ჯერ ოფიციალურად მიღებული და გამოცხადებული არ არის. დიდი ოცეულის სამიტს ეს არ შეეხება. ობამა პეტერბურგში ჩასვლას კვლავინდებურად გეგმავს.

თვითონ პრეზიდენტმა ობამამ რუსეთის მიერ სნოუდენის შეფარებაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა, მიუხედავად იმისა, რომ იემენის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ბრიფინგზე ეს კითხვა მას ერთდროულად რამდენიმე ჟურნალისტმა დაუსვა. „ყველას დიდი მადლობა", თქვა ობამამ და პრესკონფერენცია დაამთავრა.

საქმეში ჩახედული მიმომხილველები აცხადებენ, რომ ოფიციალური ვაშინგტონი სამ ვარიანტს განიხილავდა, თუ როგორ მოექცეოდა რუსეთი სნოუდენს და მათგან ოფიციალურმა მოსკოვმა ყველაზე ცუდი შეარჩია. პირველ ორ ვარიანტში რუსეთის მიგრაციულ სამსახურს შეეძლო სნოუდენის თხოვნა ან სეტემბრამდე არ მიეღო განსახილველად, ან მისი განხილვა დროში მაქსიმალურად გაეწელა, რაც რუსეთში ობამას „სრულფასოვანი" ვიზიტის ჩატარებას შესაძლებელს გახდიდა. რუსეთმა კი სნოუდენი უკვე შეიფარა ერთი წლით. შესაბამისად, ვაშინგტონი ფაქტის წინაშე დადგა და იძულებულია, საპასუხო ზომებს მიმართოს. სხვათა შორის, შეხვედრის გაუქმება უპრეცედენტო ნაბიჯი იქნება. ცივი ომის შემდეგ ასეთი რამ არავის ახსოვს.

ბევრად უფრო მკვეთრი განცხადებებით გამოვიდნენ ამერიკელი კანონმდებლები, თან - არა მხოლოდ „რესპუბლიკელები". „რესპუბლიკელმა" კელი ელიოტმა და „დემოკრატმა" რობერტ მენენდესმა, რომელიც საგარეო საქმეთა კომიტეტს ხელმძღვანელობს, განაცხადეს, რომ რუსეთის მიერ სნოუდენის შეფარება სერიოზულად დააზარალებს ორმხრივ ურთიერთობებს. ცხადია, უფრო რადიკალურები იყვნენ „ქორები", ჯონ მაკკეინი და ლინდსი გრემი. ამ უკანასკნელის სიტყვებით, სნოუდენის საქმემ „თამაშის წესები შეცვალა" და ახლა საჭიროა მკაცრი საპასუხო ზომების გატარება, მათ შორის, სანქციების შემოღების საკითხის განხილვაც. სხვათა შორის, ივლისში ლინდსი გრემი იმ რეზოლუციის თანაავტორი იყო, რომელიც რუსეთიდან დიდი ოცეულის სამიტის სხვა სახელმწიფოში გადატანას მოითხოვდა.

ჯონ მაკკეინმა, ცხადია, ხელიდან არ გაუშვა შემთხვევა, გამოეხატა თავისი აღშფოთება და გაეკრიტიკებინა რუსეთი. მისი აზრით, „რუსეთის ქმედება არის უპატივცემულობა და აშშ-ს დამცირების მცდელობა. ეს ყველა ამერიკელისთვის სილის გაწნას ნიშნავს". მან ობამას ადმინისტრაციას ურჩია, „ფუნდამენტურად გადახედოს" რუსეთთან ურთიერთობებს და არ შეარჩინოს პუტინს აშშ-ს მიმართ ასეთი აღმაშფოთებელი საქციელი. მაკკეინის აზრით, „უკვე დიდი ხანია, საჭიროა რუსეთის მიმართ უფრო რეალისტური მიდგომის შემუშავება და იმედია, ეს დღეს მაინც დაიწყება". ჯონ მაკკეინი ფიქრობს, რომ საჭიროა მაგნიტსკის სიის გაფართოება, რუსეთში ადამიანის უფლებებისთვის (მათ შორის ისეთი დისიდენტების უფლებებისთვის, როგორებიც ხოდორკოვსკი და ნავალნი არიან) უფრო აქტურად ბრძოლა. ამას გარდა, **„ჩვენ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავამთავროთ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგება ევროპაში და ოპერატიულად გადავიდეთ ნატოს შემდგომ გაფართოებაზე. კონკრეტულად, ეს საქართველოს ეხება,"** - განაცხადა მაკკეინმა.

# ბერლუსკონის თავისუფლების აღკვეთა რეალურად ემუქრება

პირველი გვერდიდან

აღშფოთებულმა ბერლუსკონიმ იმავე საღამოს ჩაწერა სატელევიზიო მიმართვა, ყველა ბრალდება უარყო და ტრადიციულად მართლმსაჯულების სისტემა მის უსაფუძვლო დევნაში დაადანაშაულა.

საქმე ეხება მისი კომპანიის „მედიასეტის" მიერ განხორციელებულ დანაშაულებრივ სქემას ამერიკული ფილმების შესყიდვის დროს. სასამართლოს მასალების მიხედვით, ბერლუსკონიმ და „მედიასეტის" რამდენიმე ხელმძღვანელმა, რომლებიც ასევე აღმოჩნდნენ განსასჯელის სკამზე, ტრანსლაციის უფლება შეისყიდეს ოფშორული კომპანიების მეშვეობით, ხელოვნურად გაზრდილი ფასებით. ხოლო ამ გარიგების საშუალებით „დაზოგილი" ფული გამოიყენეს პოლიტიკური და სხვა მიზნებისთვის, გადასახადების გადახდის გარეშე. ბერლუსკონის უწოდეს „საგადასახადო მაქინაციების მთელი სისტემის ავტორი".

პირველი ინსტანციის სასამართლომ ბერლუსკონის ამ საქმისთვის თავიდან ოთხი წელი მიუსაჯა, ამას გარდა, ხუთი წლით აუკრძალა სახელმწიფო და პოლიტიკური თანამდებობების დაკავება. შემდეგ ეს მუხლები, ჯერ კიდევ განაჩენის ძალაში შესვლამდე, ამნისტიას დაექვემდებარა და სასჯელის ვადა ერთ წლამდე შემცირდა. სააპელაციო სასამართლომ ვერდიქტი რამდენიმე თვის წინ ძალაში დატოვა, ამჯერად კი იგივე გააკეთა რომის საკასაციო, ფაქტობრივად, უმაღლესმა სასამართლომ რომლის გადაწყვეტილებაც იტალიაში გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება. ამ სასამართლომ გააუქმა მხოლოდ ბერლუსკონივის პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის შესახებ წინა სასამართლოების გადაწყვეტილება და ის ხელახლა განსახილველად უკან დააბრუნა.

ბერლუსკონი ციხეში, სავარაუდოდ, მაინც არ ჩაჯდება თავისი ასაკის გამო. ალტერნატივაა შინაპატიმრობა ან საზოგადოებრივად სასარგებლო გამოსასწორებელი სამუშაოები. ჯერ კიდევ საბოლოო ვერდიქტის გამოცხადებამდე ექს-პრემიერი აცხადებდა, რომ ის მზად არის, ციხეში წავიდეს, მაგრამ გამოსასწორებელ სამუშაოებს არ დათანხმდება, რომელსაც დამნაშავეებს ხელახალი აღზრდის მიზნით უნიშნავენ. თუმცა საბოლოო განაჩენის გამოცხადების შემდეგ თავისი ემოციები ვერ დამალა.

ეს პირველი სასამართლო საქმეა, რომელიც ბერლუსკონიმ წააგო. აქამდე მის წინააღმდეგ აღძრული საქმეებიდან ზოგი საერთოდ სასამართლომდე ვერ აღწევდა სხვადასხვა მიზეზების გამო ან მას ამართლებდნენ. თუმცა ბოლო წლებში მისი რამდენიმე სერიოზული დანაშაული გამოიკვეთა. მის მიმართ კიდევ ერთი გაცილებით უფრო სერიოზული განაჩენი აქვს გამოტანილი მილანის სასამართლოს, ვგულისხმობთ ე.წ. „რუბის საქმეს". წელს ივნისში მას შვიდი წელი მიუსაჯეს არასრულწლოვან მეძავთან სქესობრივი კავშირისა და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის. მან თავისი ფავორიტი მოცეკვავე გოგონა, წარმოშობით მაროკოელი კარიმა მახრუგი (უფრო ცნობილია მეტსახელით „რუბი"), წინასწარი დაკავების იზოლატორიდან გამოაშვებინა, სადაც წვრილმანი ქურდობისთვის იყო დაკავებული. ამ შვიდი წლიდან 6 წელი სწორედ თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის მიუსაჯეს. იმ განაჩენშიც მას სახელმწიფო თანამდებობების დაკავებას უკრძლავენ. თუ მისი ადვოკატები ვერც ამ განაჩენის შეცვლას შეძლებენ ზედა ინსტანციებში, ბერლუსკონის შეიძლება, ბევრად უფრო სერიოზული პრობლემები შეექმნას.

აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ამ ყველაფერმა შეიძლება, იტალიაში პოლიტიკური რყევები გამოიწვიოს, რადგან ბერლუსკონი თვითონ სენატორია, მისი პარტია კი - მმართველი კოალიციის წევრი. გუშინვე მოსახლეობასაც და პოლიტიკურ სპექტრსაც სიმშვიდისკენ მოუწოდეს პრემიერმა ენრიკო ლეტამ და პრეზიდენტმა ჯორჯო ნაპოლიტანომ. წინა დღეებში ბერლუსკონის მომხრეები განაჩენის ძალაში დატოვების შემთხვევაში „ომით" იმუქრებოდნენ, თუმცა ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ მისი მემარჯვენე-ცენტრისტული პარტია მოქმედი მთავრობის კურსის მხარდაჭერას გააგრძელებს.

თავის ემოციურ სატელევიზიო გამოსვლაში სილვიო ბერლუსკონიმ სასამართლოს გადაწყვეტილება დაგმო. „არავის შეუძლია, შეაფასოს ის ნამდვილი ძალადობა, რომელთანაც მე მიწევს გამკლავება ბრალდებების ამ ნაკადისა და სხდომების სახით." ექს-პრემირის სიტყვით, 50 საქმე, რომლებშიც ის ფიგურირებს, სხვა არაფერია, თუ არა ნამდვილი სასამართლო დევნა, რომლის ანალოგიც მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში არ მოიძებნება." ყველაფრისთვის, რაც მე ბოლო ოცი წლის განმავლობაში ქვეყნის საკეთილდღეოდ გავაკეთე, ჩემი, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწის კარიერის თითქმის ბოლოში დავიმსახურე ბრალდებები და ვერდიქტი, რომელიც არაფრით დასაბუთებული და პირად თავისუფლებას და პოლიტიკურ უფლებებს მართმევს." მან ქვეყნის სასამართლო სისტემა გააკრიტიკა და ბოლოს დასვა „რიტორიკული" კითხვა: „ეს არის ის იტალია, რომელიც ჩვენ გვინდა? ეს არის იტალია, რომელიც ჩვენ გვიყვარს?" და თავად უპასუხა: „არავითარ შემთხვევაში!"

ამას გარდა, მან თქვა, რომ ყოველთვის პატიოსანი მეწარმე იყო, რომ „მედიასეტს" არ აქვს არცერთი ყალბი დოკუმენტი. არც მას და არც მის ოჯახს აქვთ ანგარიშები საზღვარგარეთ. მან ხალხს და ახალგაზრდებს თავისი პარტიის მხარდაჭერისკენ მოუწოდა, რათა მათ ქვეყანაში მდგომარეობა და სასამართლო სისტემა შეცვალონ. თან გამოიყენა თავისი პირველი პარტიის სახელად არჩეული მისივე საფეხბურთო კლუბ „მილანის" ლოზუნგი „ფორცა იტალია!"

ბერლუსკონის ადვოკატები ამ, მათი აზრით, უსამართლო განაჩენის გასაჩივრებას სტრასბურგის სასამართლოში გეგმავენ.

# წლის მხსნელი „ელიზიუმი"

ია ვეკუა

„წყევლა"

2010 წელს ამერიკის კინოაკადემიამ საუკეთესო ფილმის ნომინაციის წესი ოდნავ შეცვალა და ხუთის ნაცვლად 10 ნომინანტი დაასახელა. სწორედ ამ ცვლილების დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ, რომ ნომინაციაში ყველაზე არა საოსკარო ფილმი, „მეცხრე რაიონი" მოხვდა, რომელმაც, მართალია, ჯილდო ვერ მოიპოვა, მაინც შეძლო წლის ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი გამხდარიყო, დაენგრია ზოგადი წარმოდგენა სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრზე და ისიც დაემტკიცებინა, რომ კარგი სანახაობრივი ფილმის გადასაღებად მინიმალური ბიუჯეტიც საკმარისია. 8 აგვისტოს მსოფლიო და ჩვენს გაქრავებაში სწორედ ამ პატარა კინოსასწაულის ავტორის, ნილ ბლომკამპის ახალი ნამუშევარი, „ელიზიუმი" გამოდის, რომელსაც საკმაოდ დიდი მისია ეკისრება - ამ ფილმმა პრაქტიკულად 2013 წლის სანახაობრივი კინო უნდა იხსნას.

ამ მხრივ წელს დიდი ჩავარდნა იყო. განსაკუთრებული შთაბეჭდილება არც „ფოლადის ადამიანს" დაუტოვებია, არც მესამე „რკინის კაცს" და „წყნარი ოკეანის ტიტანებს", „ობლივიონი" სრული აბდაუბდა აღმოჩნდა, „დედამიწის შემდეგ" კი ოდესღაც ძალიან კარგი ემ ნაით შამალანის კარიერის დასამარება. წინ კიდევ რამდენიმე ბლოკბასტერი გველის - მაგალითად, „შიმშილის თამაშებისა" და „ჰობიტის" მეორე ნაწილები, მანამდე კი მთელი იმედები „ელიზიუმისკენ" მივმართოთ - პიტერ ჯეკსონის მიერ გაწვრთნილ ნილ ბლომკამპს ამ ფილმის გადასაღებად „მეცხრე რაიონთან" შედარებით სამჯერ მეტი ბიუჯეტი ჰქონდა.

„ელიზიუმი" ბოლოდროინდელი ბლოკბასტერების მსგავსად პოსტაპოკალიპტური სამყაროს შესახებ მოგვითხრობს. 2154 წელია. დედამიწა გეტოს მსგავსი დასახლებაა, სადაც ადამიანები უკიდურეს გაჭირვებასა და ტერორში ცხოვრობენ, თუმცა არსებობს ალტერნატიული სამყაროც - კოსმოსური სადგური „ელიზიუმი", სადაც უმდიდრესმა და გავლენიანმა ადამიანებმა მოიყარეს თავი. ისინი ფუფუნებით არან გარშემორტყმული, აქვთ საუკეთესო საკვები, საცხოვრებელი პირობები, მომსახურების უმაღლესი სერვისი და ასე შემდეგ. ერთადერთი, რაც „ელიზიუმის" მაცხოვრებლებს აწუხებთ, დედამიწელების უკანონო ემიგრაციის შემთხვევებია, რისი აღკვეთაც ჯოდი ფოსტერის სისატიკით ცნობილი პერსონაჟის უწყებას ევალება, მეტ დეიმონის გმირის მისია კი სისტემის დანგრევაა.

მანამდე კი კიდევ ორი პრემიერა გველის - 1 აგვისტოს გაქირავებაში კომედია RED 2 და საშინელებათა „წყევლა" გამოდის. მეორე RED ამავე სახელწოდების კომიქსის სამი წლის წინანდელი ეკრანიზაციის სიკვეთია და კვლავაც ასაკში მყოფ სპეცაგენტებზე მოგვითხრობს. ფილმში ჰოლივუდის მთელი თანავარსკვლავედი თამაშობს: ბრუს უილისი, ჯონ მალკოვიჩი, ჰელენ მირენი, კეტრინ ზეტა ჯონსი, ბრაიან კოქსი, დევიდ ტუილისი და ენტონი ჰოპკინსი. „წყევლა" კი სრულიად სხვა განწყობას შეგიქმნით - ვერა ფერმიგასა და პატრიკ უილსონის პერსონაჟების თავს დამტყდარი ამბავი ნამდვილად არ გახლავთ სასაცილო, ამრიგად სუსტი გულის პატრონები შინ დარჩით. სამაგიეროდ ფილმი აუცილებლად უნდა ნახონ ჟანრის მოყვარულებმა, რადგან „წყევლას" საშინელებათა ფილმებისთვის უჩვეულოდ მაღალი შეფასება აქვს (imdb-ზე 8.0 ქულა, rottentomatoes-ზე - 86%). ფილმისადმი ინტერესს ისიც ამძაფრებს, რომ მისი სიუჟეტი ნამდვილ ამბავს ეფუძნება...

15 აგვისტო ჩვენთან საოჯახო-საბავშვო კინოს დღეა. ამ დღეს ორი ფილმი გამოდის - კომედია „ჩვენ მილერები ვართ" და „სმურფები 2". პირველი ფილმის ერთ-ერთი მონაწილე ჯენიფერ ენისტონია, რაც უკვე ნიშნავს, რომ წინ სასიამოვნო და უპრეტენზიო სანახაობა გველის, „სმურფებთან" დაკავშირებით კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თავბრუდამხვევი ისტორიით ბავშვებთან ერთად უფროსებიც ისიამოვნებთ.

ერთი კვირის შემდგე, კერძოდ კი 22 აგვისტოს, მაყურებელს კიდევ ერთი სიკველი ელის - განსაკუთრებით მოზარდებისთვის საინტერესო „პერსი ჯეკსონი: მონსტრების ზღვა". ძველბერძნულ მითოლოგიაზე დაფუძნებული თანამედროვე ისტორია ამჯერადაც პერსი ჯეკსონის, პოსეიდონის ნახევრად ღმერთი შვილის ირგვლივ იკვრება. პერსი ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ამერიკელი მოზარდია, თუმცა სუპერგმირების მსგავსად მასაც აქვს თავისი მისია, რომელიც დედამიწის ხსნაში მდგომარეობს.

თვის მიწურულს, 29 აგვისტოს ეკრანებზე კიდევ ერთი კომედია გამოვა - „თანაკლასელები 2", რომელშიც მთავარ როლებს ადამ სენდლერი, კევინ ჯემსი, კრის როკი, სელმა ჰაიეკი და სტივ ბუშემი ასრულებენ.

P.S. აქვე ერთი საიხლის შესახებაც: 1 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით ჩვენს კინოთეატრებში ფასდაკლების სისტემა მოქმედებს. თუ სალაროში აგვისტოში შეძენილ ძველ ბილეთს წარადგენთ, მაშინ ახალ ბილეთს 50%-იანი ფასდაკლებით მიიღებთ.

# სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი იხსნება

დღეს, 3 აგვისტოს, 13: 00 საათზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი და მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი მესტიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმს საზეიმოდ გახსნიან. მოწვეულ სტუმრებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე უმასპინძლებს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია მესტიის მუზეუმის ყოფილ დირექტორს, ქ-ნ ციალა ჩართოლანს, მუზეუმში გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და მუზეუმის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისათვის საპატიო სიგელით დააჯილდოებს და 80 წლის იუბილეს მიულოცავს.

ღონისძიების დასასრულს დაგეგმილია საზეიმო კონცერტი და ფოიერვერკი.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ისტორია თითქმის საუკუნეს ითვლის. მუზეუმის რეაბილიტაციის დასრულების შემდგომ მოეწყო საგამოფენო დარბაზები და აღიჭურვა თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შეიქმნა სარესტავრაციო ლაბორატორია და საცავები.

რეაბილიტირებულ მუზეუმში მუდმივი ექსპოზიციის ექვსი დარბაზია. ისტორიაში მოგზაურობა სვანეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალით იწყება, ასევე, განთავსებულია ნუმიზმატიკური კაბინეტი. მუზეუმში დაცულია ქრისტიანული საგანძურიც, გამოფენილია IX-XVIII საუკუნეებში შექმნილი მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი შედევრები როგორიცაა: ორმოცი სებასტიელი მოწამის ხატი, ბიზანტიური ნაქარგი ხატი, ვენეციური ჯვარი, თამარ მეფის მიერ შეწირული სურა, მოხატული ხელნაწერის ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ნიმუში - ადიშის ოთხთავი (897 წ.) და სხვა. ასევე გამოფენილია მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა.

მუზეუმის სარეაბილიტაციო კომპლექსური სამუშაოები საქართველოს მთავრობისა და სხვადასხვა საერთაშორისო ფონდის და ორგანიზაციის მხარდაჭერით მიმდინარეობდა, მათ შორისაა: საქართველოს UNESCO-ს საქმეთა ეროვნული კომისია, ევროკავშირის ტვინინგის პროგრამა, პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი/ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გაერთიანება, სმიტსონის ინსტიტუცია, აშშ-ს ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, საქართველოში იტალიისა და შვეიცარიის საელჩოები.

მესტიის ისტორიისა და ეთნოდრაფიის მუზეუმი ერთი თვის მანძილზე დამთვალიერებლებს უფასოდ მიიღებს.

*24 საათი*

# ოპერის თეატრის გახსნამდე

გუშინ ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მედიასთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანი იყო, საზოგადოებისთვის ეცნობებინათ თეატრში მიმდინარე პროცესების დეტალები. შემაჯამებელ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ინტენსიურად გრძელდება თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები და 2014 წლის შემოდგომაზე საქართველოს ექნება უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი თეატრი, რომლის აღდგენა ხორციელდება პირადად ბიძინა ივანიშვილისა და საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" დახმარებით და რაზეც დახარჯულია ათეულობით მილიონი ლარი.

სარემონტო სამუშაოების მიუხედავად, თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი ჩვეული ტემპით განაგრძობს შემოქმედებით საქმიანობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ საგასტროლო გამოსვლებით (ესტონეთში საარემაას საოპერო ფესტივალზე გამართულ ამასწინანდელ ძალზე წარმატებულ გასტროლთან დაკავშირებით ინფორმირებულნი ხართ). საგულისხმოა ისიც, რომ თეატრის დასი ეწევა მრავალპროფილურ მოღვაწეობას - მართავს საოპერო, საბალეტო სპექტაკლებს და სიმფონიური მუსიკის კონცერტებს, რაშიც ცხადია, უდიდეს დახმარებას, მხარდაჭერას გვიწევს საქართველო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, რომლის ყურადღების ცენტრში მუდამ არის მოქცეული თეატრი.

„მოგეხსენებათ, ხელოვნების მოღვაწე ყოველი კადრი - მომღერალი, მოცეკვავე, ორკესტრისა თუ გუნდის მუსიკოსი, - ძალიან ძვირფასია, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ამ კადრების შენარჩუნება, რაც შეუძლებელია სათანადო ანაზღაურების, ფინანსური ბაზის გარეშე.

სწორედ აღნიშნული მიმართულებები, მსახიობების სოციალური პირობების გაუმჯობესება იქნება პრიორიტეტული თეატრის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტში, რადგან ვითვალისწინებთ ხელოვნების სფეროს კონკურენტული გარემოს სპეციფიკას. ბიუჯეტის პროექტის პრეზენტაცია მომავალ კვირაში გაიმართება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში." - აღნიშნეს ბრიფინგზე და ბოლოსთვის დასძინეს, რომ იმედოვნებენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან კიდევ უფრო გაღრმავდება ურთიერთთანამშრომლობა და თეატრის გახსნამდე (2014 წლის შემოდგომა) არაერთმნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება.

*24 საათი*

## ამინდი

| | |
|---|---|
| აბასთუმანი | 19°C - 6°C |
| ბათუმი | 26°C - 18°C |
| ათენი | 36°C - 24°C |
| ზუგდიდი | 28°C - 15°C |
| თბილისი | 32°C - 19°C |
| ქუთაისი | 28°C - 17°C |
| სამტრედია | 28°C - 17°C |
| ანტალია | 37°C - 24°C |
| ბაქო | 32°C - 23°C |
| ბუდაპეშტი | 30°C - 16°C |
| ერევანი | 34°C - 19°C |
| ვენა | 29°C - 19°C |
| კიევი | 26°C - 17°C |
| თელ-ავივი | 30°C - 23°C |
| ლონდონი | 24°C - 14°C |
| მოსკოვი | 21°C - 13°C |
| მიუნხენი | 29°C - 16°C |
| ნიუ-იორკი | 26°C - 19°C |
| პრაღა | 29°C - 17°C |
| სტამბული | 31°C - 22°C |
| გორი | 29°C - 13°C |
| სენაკი | 28°C - 17°C |
| წინანდალი | 32°C - 16°C |
| გონიო | 25°C - 17°C |
| მანგლისი | 24°C - 13°C |
| გუდაური | 17°C - 8°C |
| ბოლნისი | 32°C - 16°C |
| ბაკურიანი | 20°C - 6°C |
| საჩხერე | 28°C - 11°C |
| მცხეთა | 33°C - 16°C |
| ურეკი | 27°C - 18°C |
| ხაშური | 27°C - 13°C |
| ზესტაფონი | 28°C - 11°C |
| ფოთი | 27°C - 18°C |
| ცხინვალი | 27°C - 11°C |
| შატილი | 15°C - 8°C |
| რუსთავი | 33°C - 19°C |
| თელავი | 32°C - 16°C |
| კასპი | 32°C - 17°C |
| ბიშკეკი | 32°C - 19°C |
| დუბაი | 41°C - 32°C |
| დუშანბე | 39°C - 23°C |
| ვილნიუსი | 25°C - 14°C |
| იოჰანესბურგი | 25°C - 13°C |
| იოჰანესბურგი | 27°C - 13°C |
| კაირო | 36°C - 22°C |
| კიშინიოვი | 28°C - 14°C |
| კოპენჰაგენი | 26°C - 16°C |
| ოსლო | 27°C - 16°C |
| რეიკიავიკი | 18°C - 13°C |
| რიგა | 26°C - 14°C |
| სტოკჰოლმი | 24°C - 13°C |
| ტაშკენტი | 39°C - 24°C |
| ჰელსინკი | 25°C - 14°C |
| ბარსელონა | 30°C - 21°C |
| ბუქარესტი | 33°C - 19°C |
| ვარშავა | 27°C - 16°C |
| ლისაბონი | 27°C - 16°C |
| მადრიდი | 36°C - 18°C |
| ნეაპოლი | 31°C - 22°C |
| სოფია | 31°C - 11°C |
| სტრასბურგი | 27°C - 14°C |
| ჰამბურგი | 27°C - 16°C |
| ფრანკფურტი | 28°C - 16°C |
| ახალციხე | 24°C - 11°C |
| უშგული | 17°C - 8°C |
| დავით-გარეჯი | 29°C - 16°C |

## ვალუტის კურსი

| | | | |
|---|---|---|---|
| AED | 10 | არაბეთის საამიროების დირჰამი | 4.5105 |
| AMD | 1000 | სომხური დრამი | 4.0407 |
| AUD | 1 | ავსტრალიური დოლარი | 1.5310 |
| AZN | 1 | აზერბაიჯანული მანათი | 2.1119 |
| BGN | 1 | ბულგარული ლევი | 1.1152 |
| BRL | 1 | ბრაზილიური რიალი | 0.7422 |
| BYR | 10000 | ბელორუსული რუბლი | 1.8719 |
| CAD | 1 | კანადური დოლარი | 1.6023 |
| CHF | 1 | შვეიცარიული ფრანკი | 1.7642 |
| CNY | 10 | ჩინური იუანი | 2.6994 |
| CZK | 10 | ჩეხური კრონა | 0.8392 |
| DKK | 10 | დანიური კრონი | 2.9261 |
| EGP | 10 | ეგვიპტური გირვანქა | 2.3661 |
| EUR | 1 | ევრო | 2.1822 |
| GBP | 1 | ინგლისური გირვანქა | 2.5419 |
| HKD | 10 | ჰონკონგური დოლარი | 2.1355 |
| HUF | 100 | უნგრული ფორინტი | 0.7394 |
| ILS | 10 | ისრაელის შეკელი | 4.6390 |
| INR | 100 | ინდური რუპია | 2.7732 |
| IRR | 10000 | ირანული რიალი | 0.6737 |
| ISK | 100 | ისლანდიური კრონი | 1.3732 |
| JPY | 100 | იაპონური იენი | 1.6576 |
| KGS | 100 | ყირგიზული სომი | 3.3810 |
| KWD | 1 | ქუვეითური დინარი | 5.8147 |
| KZT | 100 | ყაზახური ტენგე | 1.0825 |
| LTL | 10 | ლიტვური ლიტი | 6.3258 |
| LVL | 1 | ლატვიური ლატი | 3.1081 |
| MDL | 10 | მოლდავური ლეი | 1.2938 |
| NOK | 10 | ნორვეგიული კრონი | 2.7924 |
| NZD | 1 | ახალზელანდიური დოლარი | 1.3220 |
| PLN | 10 | პოლონური ზლოტი | 5.1682 |
| RON | 10 | რუმინული ლეი | 4.9390 |
| RSD | 100 | სერბიული დინარი | 1.9252 |
| RUB | 100 | რუსული რუბლი | 5.1271 |
| SEK | 10 | შვედური კრონი | 2.5539 |
| SGD | 1 | სინგაპურული დოლარი | 1.3090 |
| TJS | 10 | ტაჯიკური სომონი | 3.4743 |
| TMT | 10 | თურქმენული მანათი | 5.8126 |
| TRY | 1 | თურქული ლირა | 0.8651 |
| UAH | 10 | უკრაინული გრივნა | 2.0726 |
| USD | 1 | აშშ დოლარი | 1.6566 |
| UZS | 1000 | უზბეკური სუმი | 0.7871 |
| ZAR | 10 | სამხრეთაფრიკული რანდი | 1.6846 |
| KRW | 1000 | სამხრეთ კორეული ვონი | 1.4831 |
| QAR | 10 | ყატარული რიალი | 4.5497 |

## სასაქონლო ბირჟა

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთობი | 3.19 | +0.00 | +0.16% |
| გაზი | 3.58 | +0.11 | +3.07% |
| ოქრო | 1,743.20 | -9.80 | -0.56% |
| ხორბალი | 868.50 | +12.25 | +1.41% |
| S&P/TSX Composite Index | 12,680.60 | -64.78 | -0.51% |
| Nasdaq Composite Index | 3,575.84 | -3.43 | -0.10% |
| Dow Jones Industrial Average | 15,503.70 | -64.09 | -0.41% |

## აფიშა

### კინოთეატრები

#### ამირანი

**წყევლა**
**რეჟისორი:** ჯეიმს ვანი
**როლებში:** ვერა ფარმიგა, პატრიკ უილსონი, რონ ლივინგსტონი, ლილი ტეილორი, შენლი კასველი
**ჟანრი:** საშინელება ტრილერი
**ხანგრძლივობა:** 112 წთ.
**გახმოვანება:** რუსული

#### რუსთაველი

**რედი 2**
**რეჟისორი:** დინ პარიზო
**როლებში:** ჰელენ მირენი, ჯონ მალკოვიჩი, ბრიუს უილისი, მარი-ლუიზ პარკერი, ქეთრინ ზეტა-ჯონსი, ბიონ ჰონ ლი, ენტონი ჰოპკინსი
**ჟანრი:** მძაფრსიუჟეტიანი კრიმინალური კომედია
**ხანგრძლივობა:** 116 წთ.
**გახმოვანება:** რუსული

**წყნარი ოკეანის ტიტანები 3D**
**რეჟისორი:** გილერმო დელ ტორო
**როლებში:** ჩარლი ჰანემი, იდრის ელბა, ჩარლი დეი, რონ პერლმენი, ნილ უიტლი, დევიდ რიჩმონდ-პეკი, ტაილერ სტევენსონი
**ჟანრი:** მძაფრსიუჟეტიანი სათავგადასავლო
**ხანგრძლივობა:** 131 წთ.
**გახმოვანება:** რუსული

**თეთრი სახლის დაცემა**
**რეჟისორი:** როლანდ ემერიხი
**როლებში:** ჩენინგ ტატუმი, ჯეიმი ფოქსი, ჯეისონ კლარკი, რიჩარდ ჯენკინსი, მეგი გილენჰალი, ჯო კინგი, ჯეიმს ვუდსი
**ჟანრი:** მძაფრსიუჟეტიანი დრამა
**ხანგრძლივობა:** 131 წთ.
**გახმოვანება:** რუსული

**მონსტრების უნივერსიტეტი 3D**
**რეჟისორი:** დენ სკანლონი
**როლებში:** ნათან ფილიონი, ჯონ გუდმენი, სტივ ბუჩემი, ჯონ კრასინსკი, ოუბრეი პლაზა, ჰელენ მირენი
**ჟანრი:** ანიმაცია სათავგადასავლო კომედია
**ხანგრძლივობა:** 110 წთ.
**გახმოვანება:** ქართული

**რა მოხდა კიევში**
**რეჟისორი:** ირაკლი ჩხიკვაძე
**როლებში:** მერაბ ჭიქაშვილი, თორნიკე გოგრიჭიანი, გიორგი ლორია, სანდრო გაბილაია
**ჟანრი:** კომედია
**ხანგრძლივობა:** 90 წთ.
**გახმოვანება:** ქართული

#### კინოს სახლის კინოდარბაზი

**კანონგარეშე**
**რეჟისორი:** ჯიმ ჯარმუში
**როლებში:** ტომ უეიტსი, ჯონ ლური, რობერტო ბენინი, ნიკოლეტა ბრასკი, ელენ ბარკინი, ბილი ნილი
**ჟანრი:** კრიმინალური დრამა, კომედია
**ხანგრძლივობა:** 105 წთ.
**გახმოვანება:** რუსული

### გამოფენები

#### თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)

**გამოფენა „თაობები“. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება, სამი თაობის, 70-80-90-ანი წლების ორმოცდათხუთმეტი ქართველი მხატვრის ნამუშევარი**

სიონის ქ. 8 ტელ: 292-32-27
(მუზეუმი მუშაობს ყოველდღე ორშაბათის გარდა 11 სთ-დან 17.00 სთ-მდე)

#### თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)

**გამოფენა „თაობათა დიალოგი“. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 1960 წლიდან 2012 წლის ჩათვლით ლიტვაში მოღვაწე პროფესიონალი ფოტოგრაფების ნამუშევრები**

სიონის ქ. 8 ტელ: 292-32-27
(მუზეუმი მუშაობს ყოველდღე ორშაბათის გარდა 11 სთ-დან 17.00 სთ-მდე)

## კროსვორდები




| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | | | 8 | | | |
| 2 | | | 6 | 4 | 7 | | | |
| 4 | 1 | | | 9 | | | | |
| | | | | 7 | | 8 | | |
| | | 7 | 9 | | 3 | 6 | | |
| | | 9 | | 8 | | | | |
| | | | | 3 | | | 2 | 4 |
| | | | 7 | 2 | 4 | | | 8 |
| | | | 8 | | | | | 1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 9 | 7 | | |
| 2 | 9 | | | 5 | | 4 | | |
| 8 | | | | | | | | 1 |
| | 3 | | | | 6 | 9 | | |
| | 1 | | | | | | 5 | |
| | | 7 | 2 | | | | 3 | |
| 7 | | | | | | | | 5 |
| | | 3 | | 6 | | | 1 | 4 |
| | | 6 | 4 | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | | 6 | | | |
| 4 | | | | 3 | 2 | | | 5 |
| 2 | | 5 | | | | | 3 | |
| | | | | 5 | | 9 | | 2 |
| | 9 | | 4 | | 7 | | 5 | |
| 6 | | 3 | | 9 | | | | |
| | 4 | | | | | 1 | | 8 |
| 9 | | | 7 | 1 | | | | 6 |
| | | | 8 | | | | 9 | |

# გორში ახალი „დილა" გათენდა

პირველი გვერდიდან

გორის „დილას" მთავარმა მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ჰაიდუკთან" მოგებული შეხვედრის შემდეგ თქვა, რომ თბილისში გაცილებით რთული შეხვედრა ელით: „წარმატება მინდა ვუსურვო ჩვენს მოწინააღმდეგეს. საკმაოდ ახალგაზრდული გუნდია, რომლებსაც კარგი მომავალი აქვთ.

ჩვენს შორის ჯერ ყველაფერი არ გარკვეულა და თბილისში ველით ძალიან რთულ თამაშს. ჩვენ ვიცოდით, რომ ასეთი გულშემატკივრის წინაშე „ჰაიდუკი" შეგვიტევდა და ყოველი წუთი ჩვენთვის იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

ჩემს ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ჯერ მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადავდგით წინ და ყველაფერი საპასუხო მატჩში გაირკვევა, სადაც ჩვენი მოწინააღმდეგე კვლავ აგრესიულ ფეხბურთს ითამაშებს და ამიტომ დიდი ყურადღება გვმართებს".

გორის „დილასთან" წაგებული შეხვედრით გაწბილებული და გაბრაზებული ჩანდა ჰაიდუკელთა მთავარი მწვრთნელი იგორ ტუდორი. მისი თქმით გორელები ხორვატიაში გამარჯვებას არ იმსახურებდნენ: „ქართველები პირველი მატჩის მოგებას არ იმსახურებდნენ. ჩემს ბიჭებს, რომლებიც ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან, ვუთხარი, რომ წინ ბევრი ასეთი თამაში ელით, როდესაც უპირატესობა ექნებათ, მაგრამ წააგებენ. ეს ფეხბურთია, რომელიც სწორედ იმიტომ გვიყვარს, რომ არაპროგნოზირებადია. გორის „დილა" ორგანიზებული გუნდია, რომელსაც კვალიფიციური მოთამაშეები ჰყავს. თუმცა, არ ვიცი, როგორ დავახასიათო მათი თამაში. პირადად ასეთი თამაში არ მიყვარს, რადგან მის გამო ხალხი სტადიონიდან მიდის. თუმცა, მან ამ შემთხვევაში მეტოქეს წარმატება მოუტანა. შეუძლებელია, რომ სამი მატჩის განმავლობაში გოლი არ გაუშვა და ასე ითამაშო. ვერ გეტყვით ეს იღბალია, კარმაა თუ კიდევ სხვა რამ. დიდი იმედი მაქვს, რომ „დილა" გოლს საპასუხო მატჩში მიიღებს. არადა კარში 19-ჯერ დავარტყით და ბურთის ფლობის 67 პროცენტი გვქონდა. აი, „დილამ" ჩვენი კარის მიმართულებით მხოლოდ ორჯერ დაარტყა. მეტოქეს ერთი შანსი ჰქონდა და გოლი გაიტანა, ხოლო ჩვენ ხუთი შანსიდან ვერცერთი ვერ გამოვიყენეთ".

**ევროპის ლიგა. III საკვალიფიკაციო. ეტაპი. I მატჩი.**

სპლიტი. „პოლიუდი". 28700 მაყურებელი

**„ჰაიდუკი"-"დილა" 0:1 (0:1)**

**ჰაიდუკი:** კალინიჩი, მიკანოვიჩი, მილოვიჩი, ვრშაიევიჩი, იოზინოვიჩი, მალოჩა, პაშალიჩი (ბენცუნი 87), ანდრიაშევიჩი (კიში 46), ჩაკტაში, სუშიჩი (მუიანი 87), მაგლიცა.

მწვრთნელი: იგორ ტუდორი.

**დილა:** რევიშვილი, თემურ ღონღაძე, თომაშვილი, ხიზანეიშვილი, გიორგი გურული, მამუკა კობახიძე, დავით ბოლქვაძე (აბურჯანია 88), გვალია, ალადაშვილი (გორელიშვილი 62), დოლიძე (მოდებაძე 66), ილურიძე.

მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი.

**გოლი:** 0:1 ილურიძე (24).

**გაფრთხილება:** მაგლიცა (37), იოზინოვიჩი (47, 65), ხიზანეიშვილი (50, 72), მუიანი (90), გორელიშვილი (90+1).

**გაძევება:** იოზინოვიჩი (65), ხიზანეიშვილი (72).

მსაჯი: შიმეულოვიჩი (ისრაელი).

# ავთანდილ ენდელაძე - ევროპის ჩემპიონატის ათ საუკეთესოს შორის

ლიტვაში დასრულებული ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის შემდეგ უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა, ტრადიციულად, გამოაქვეყნა იმ ათი ფეხბურთელის სია, რომლებიც uefa.com-ის ჟურნალისტებმა ტურნირის გამორჩეულ მოთამაშეებად აღიარეს.

სასიხარულოა, რომ ამ ათეულში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველი - ავთანდილ ენდელაძე მოხვდა.

„ცეცაძის გუნდის ნახევარმცველი ყველა თამაშში გამოსარჩევი ფიგურა იყო. განსაკუთრებით კი ბოლო მატჩში, სადაც შორეული, ტყვიისებური დარტყმით ანგარიში გახსნა და შესანიშნავი გოლი გაიტანა თურქეთის კარში," - წერს უეფას ოფიციალური ვებგვერდი.

ორი დღის წინათ დასრულებულ ევროპირველობაზე საუკეთესო გუნდის სახელი დებიუტანტმა სერბეთმა მოიპოვა, რომელმაც ფინალში ბევრისთვის მოულოდნელად ანდრია ლუკოვიჩის მიერ 57-ე წუთზე გატანილი გოლით საფრანგეთი 1:0 დაამარცხა. აღსანიშნავია ისიც, რომ მომავალი ფინალისტები „ჩვენი ჯგუფის" ბინადრები იყვნენ.

სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ 19-წლამდელთა ასაკში ევროპას დამსახურებული ჩემპიონი ჰყავს, რადგან ლიუბინკო დრულოვიჩის გუნდმა პირველივე თამაშიდან ყველა შოკში ჩააგდო და ერთი ამოსუნთქვით გაიარა გზა ფინალამდე.

შეგახსენებთ, რომ 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე გია ცეცაძის გუნდი საფრანგეთს 0:0 დაუზავდა, ხოლო მომავალ ჩემპიონებთან 0:1 დამარცხდა, ხოლო ჯგუფის ბოლო შეხვედრაში თურქ თანატოლებთან 2:4 წაგების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა.

**ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელთა ათეული კი ასე გამოიყურება:**

პრედრაგ რაიკოვიჩი (მეკარე, სერბეთი)

ლუკას ვუდენბერგი (მცველი, ჰოლანდია)

რეცეპ ნიაზი (ნახევარმცველი, თურქეთი)

ბერნარდო სილვა (ნახევარმცველი, პორტუგალია)

ხოსე როდრიგესი (ნახევარმცველი, ესპანეთი)

**ავთანდილ ენდელაძე (ნახევარმცველი, საქართველო)**

გრატას შირგედასი (ნახევარმცველი, ლიტვა)

ედრიენ რაბიო (ნახევარმცველი, საფრანგეთი)

ალექსანდარ მიტროვიჩი (ფორვარდი, სერბეთი)

იასინ ბენზია (ფორვარდი, საფრანგეთი)

# Iron Man

ნატა დავიდოვა

## ივან ლენდლი 1981-90

უემოციო ტიპი, რომელიც არ აგებდა. რობოტი, რომელიც პროგრამისტზე ჭკვიანი, თითქმის სრულყოფილი იყო. ტერმინატორი, რომელიც კიბორგებში ყველაზე ლეტალური იყო. უბრალოდ, გიგანტი. ჩოგბურთის გიგანტი, რომელიც იგებდა, ვერ იგებდა, აგებდა, ცოტას აგებდა და გახდა ლეგენდა. ჩეხი, რომელიც გახდა ამერიკელი და ამერიკელი, რომელიც ყოველთვის დარჩება ჩეხად. თავისი გენერაციის ლიდერი და მოთამაშე, რომელიც უიმბლდონზე ბოლო დონეზე ვერ გავიდა. ფორჰენდი გკლავდა და ჩაწოდება საკონტროლო გასროლა იყო. ლენდლმა მოსაგები მოიგო და ლენდლმა მოსაგები ვერ მოიგო. ინგლისში, სადაც ბორის ბეკერი თინეიჯერად ხსნიდა ჯეკპოტს და სადაც სტეფან ედბერგი სილამაზით იგებდა, ლენდლმა ორი ფინალი დატოვა. ერთი ბეკერთან (1986) და მეორე არაბეკერთან, მისტერ პატ კეშთან (1987). ხდება ხოლმე. ლენდლმა ორივე უიმბლდონი უმუღამოდ დატოვა. ეს ივანმაც იცოდა.

ლენდლი იყო ტრანსფორმერი. ჩეხი აგებდა დიდი სლემის ფინალებს და ყველაფერს ინიშნავდა. ჩეხი აგებდა ჯიმი კონორსთან და ჯიმის ტუზებს უკვე ჯოკრით სერავდა. ჩეხი აგებდა ბორგთან და შვედის ტუზებსაც ჯოკრით კლავდა. ჩეხი ყველას ჯოკრით კლავდა და მისტერ ლენდლმა ჯოკრის თამაში კარგად ისწავლა. იმ ერთ, ჩვეულებრივ სეზონში (1984), როდესაც ჩეხი ბევრს ვერ იგებდა, ლენდლმა ერთი ფინალი შეატრიალა, ცოტა იბუზღუნა და მაინც მოიგო. 1984. საფრანგეთში, როლან გაროზე. ქვიშაზე. საფრანგეთში ლენდლი გადის ფინალამდე და აგებს პირველ ორ სეტს ჯონი მაკინროუსთან. საფრანგეთში ლენდლი პირველად გადაიტვირთა. ლენდლმა საფრანგეთში საკუთარ თავი გადატვირთა. პროგრამისტის გარეშე. და ივანმა პირველი ორი სეტი დატოვა. ჯონი მაკინროუს დაუტოვა (3:6, 2:6) და შემდეგი სამი წამოიღო (6:4, 7:5, 7:5). მაკინროუმ როლან გაროს მოგების საუკეთესო შანსი დაკარგა. ჯონი შემდეგ სეზონში გავა ნახევარფინალამდე და წააგებს მათს ვილანდერთან (1:6, 5:7, 5:7). მანამდე და ამის შემდეგ, ფრანგულ გრუნტზე ჯონის მაქსიმუმი მეოთხედფინალი იყო.

ლენდლი პირველად 1983 წლის 28 თებერვალს გახდა რეიტინგის პირველი ნომერი. ჩეხი პირველია. და ჩეხს იმ მომენტში არ აქვს მოგებული დიდი სლემის ტურნირი. ჩეხი პირველ ბონუსს ჯონის კუთხეში დაყენებით წამოიღებს და დაიწყება მაგარი სერია. ლენდლის სერია. ჩოგბურთის კლასიკა. ლენდლის გაროტა გიჭერდა, არ გიშვებდა.

ლენდლი ზედიზედ რვაჯერ გადის ამერიკის ღია გარჩევების ფინალში. ლენდლი ბოსია.

ლენდლი ზედიზედ ცხრაჯერ გადის არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატის, მასტერსის თასის ფინალში. რეკორდი და ლენდლი ამ თემას ძალიან მშვიდად წერს. ივანი ლენდლია. ივანი იგებს და ივანმა აკრიფა. ლენდლის ტერიტორია. სადიზმი.

ლენდლმა კარიერაში დიდი სლემის 8 ფინალი მოიგო. ცხრამეტიდან (19). ბევრია. ლენდლმა პირველ ადგილზე 270 კვირა გაძლო. ჩეხი მაგარი ამტანი ტიპი იყო. ლენდლს პირველი ადგილი ვილანდერმა წაართვა (1988) და იმ სეზონში შვედმა უიმბლდონის გარდა ყველაფერი მოიგო. ჩეხმა აიღო პაუზა და დაბრუნდა. 1989. ლენდლის კიდევ ერთი მუნვოქი და ივანმა იმ სეზონში 10 ფინალი შეაფუთვინა. და წამოიღო.

**ლენდლი:** „ყოველთვის ვფიქრობდი, რომ რეიტინგის პირველ ნომერს უნდა ჰქონდეს მოგებული დიდი სლემის, სულ ცოტა, ერთი ტურნირი. ეს სწორია. თუ არ იგებ ყველაზე დიდ, მნიშვნელოვან ტურნირს, არ იმსახურებ პირველ ადგილზე დარჩენას. მარტივია."

ლენდლი ამთავრებს სეზონს პირველ ადგილზე 1985, 1986, 1987, 1989 წლებში. 270 კვირა სერიოზული თემაა. და ლენდლიც სერიოზული ბიძა იყო. ლენდლმა ენდი მარის არასრულფასოვნების კომპლექსი გადაიფარვინა. და ივანმა ადრე, ბევრი ჰიტმენის უბანში გაძლო. ჩეხი კიბორგი იყო.

ლენდლის რეკორდი გააუმჯობესეს პიტ სამპრასმა (286 კვირა პირველ ადგილზე) და როჯერ ფედერერმა (302), მაგრამ ივანმა ფენომენალურ გენერაციაში გაქაჩა. ჩეხი ფენომენი იყო. და ჩეხმა ყველა გაშიფრა. და ჩეხმა მოუმატა. და ლენდლმა მოიგო. 94 ტურნირი ერთეულებში. მეორე ადგილი კონორსის (109) შემდეგ. არარეალურია. ივანმა კარიერა ზურგის ტრავმის გამო (1994) დახურა. ორ-სამ სეზონს თავისუფლად გაქაჩავდა, მაგრამ ვერ ითამაშა. ზურგის ტრავმა ცუდი თემაა. ლენდლიც ცუდი გახდა. და ივანი წავიდა.

უემოციო ტიპი, რომელიც არ აგებდა. რობოტი, რომელიც პროგრამისტზე ჭკვიანი, თითქმის სრულყოფილი იყო. ტერმინატორი, რომელიც კიბორგებში ყველაზე ლეტალური იყო. უბრალოდ, გიგანტი. ჩოგბურთის გიგანტი, რომელიც იგებდა, ვერ იგებდა, აგებდა, ცოტას აგებდა და გახდა ლეგენდა. ჩეხი, რომელიც გახდა ამერიკელი და ამერიკელი, რომელიც ყოველთვის დარჩება ჩეხად. თავისი გენერაციის ლიდერი და მოთამაშე, რომელიც უიმბლდონზე ბოლო დონეზე ვერ გავიდა. ფორჰენდი გკლავდა და ჩაწოდება საკონტროლო გასროლა იყო. ლენდლმა მოსაგები მოიგო და ლენდლმა მოსაგები ვერ მოიგო. ინგლისში, სადაც ბორის ბეკერი თინეიჯერად ხსნიდა ჯეკპოტს და სადაც სტეფან ედბერგი სილამაზით იგებდა, ლენდლმა ორი ფინალი დატოვა. ერთი ბეკერთან (1986) და მეორე არაბეკერთან, მისტერ პატ კეშთან (1987). ხდება ხოლმე. და ლენდლმა ორივე უიმბლდონი უმუღამოდ დატოვა. ეს ივანმაც იცოდა.

ივან ლენდლი ლეგენდაა.

ივან ლენდლი განსაკუთრებული პირველი ნომერი იყო.

**1981** (10): მასტერსის თასი, ბუენოს აირესი, კიოლნი, ვენა, ბაზელი, ბარსელონა, მადრიდი, მონრეალი, ლას ვეგასი, შტუტგარტი (ჭერქვეშა).

**1982** (15): მასტერსის თასი, ჰარტფორდი, ნეაპოლი, ლოს ანჯელესი, ცინცინატი, ნორს ქონვეი, ვაშინგტონი, ფორესტ ჰილზი, დალასი, ჰიუსტონი, ფრანკფურტი, სტრასბურგი, მიუნხენი, ჟენევა, დელრეი ბიჩი.

**1983** (7): ტოკიო, სან ფრანცისკო, მონრეალი, ჰილტონ ჰედი, მილანი, დეტროიტი.

**1984** (3): უემბლი, **Roland Garros**, ლუქსემბურგი.

**1985** (11): მასტერსის თასი, უემბლი, ტოკიო, სიდნეი, შტუტგარტი, **US Open**, ინდიანაპოლისი, ფორესტ ჰილზი, დალასი, მონტე კარლო, ფორტ მაიერსი.

**1986** (9): მასტერსის თასი, **US Open**, სტრეტონ მაუნთინი, **Roland Garros**, რომი, ფორტ მაიერსი, მილანი, ბოკა უესტი, ფილადელფია.

**1987** (8): მასტერის თასი, უემბლი, სიდნეი, **US Open**, მონრეალი, ვაშინგტონი, **Roland Garros**, ჰამბურგი (გრუნტი).

**1988** (3): მონრეალი, რომი, მონტე კარლო.

**1989** (10): სტოკჰოლმი, სიდნეი, ბორდო, მონრეალი, ქვინზი, ჰამბურგი, ფორესტ ჰილზი, კი ბისკეინი, სკოტსდეილი, **Australian Open**.

**1990** (5): ტოკიო (ჭერქვეშ), ქვინზი, ტორონტო, მილანი, **Australian Open**.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allMovies.ge
Pink